პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 71 (9847) | სამშაბათი, 23 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

საკავშირო პროფსაბჭოს XIII პლენუმი (1-ლი გვერდი).

საკავშირო ალკა XII ყრილობა (მე-2 გვერდი).

მ. ჯინჭველაშვილი. — კომუნისტური პარტიის VIII ყრილობა (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).

სანიმუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო ხვნა-თესვა. — ვიბრძვით მოსავლიანობის გადიდებისათვის. როცა მტს-ი მოუქნელად მუშაობს. უხალისოდ, „უინიციატივოდ. „ობიექტური მიზეზებით“ გულდამშვიდებული [illegible]

საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის [illegible] კავშირთა მსოფლიო ფედერაციის [illegible] სესიაზე (მე-3 გვერდი).

ნიდერლანდებში სსრ კავშირის ელჩის განცხადება ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრისადმი. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი ერთსულოვნებითა და მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას „ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და უამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ“. პარტიის ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ წინათ მიღებულ გადაწყვეტილებაში, დასახულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ყველაზე საარსებო და გადაუდებელი ამოცანები.

პარტია გვასწავლის, რომ მარცვლეულის მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია. მარცვლეულის წარმოების გაფართოება საშუალებაა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის და განსაკუთრებით მისი ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგის აღმავლობისა, როგორიც არის მეცხოველეობა. რაც უფრო მეტი პური იქნება ჩვენს ქვეყანას, მით უფრო მეტი გვექნება ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებაში და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა „პრავდაში“, მოცემულია მარცვლეულის მეურნეობის მდგომარეობის ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი, ნაჩვენებია მარცვლეულის წარმოების გადიდების, სოფლის მეურნეობის ყველა სხვა დარგის და უწინარეს ყოვლისა მეცხოველეობის შემდგომი განვითარების გზები. მხილებულია სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებანი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, აგრეთვე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში სოფლის მეურნეობისადმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ „შეჟამად ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას ამოცანა მარცვლეულის, სასურსათო, საფურაჟე, საბრძლული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების წარმოების მკვეთრი გადიდებისა, რათა პური სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა ოთხმოცი მილიონ ტონამდე გადიდდეს 35-40 პროცენტით 1953 წელთან შედარებით“.

მარცვლეულის წარმოების ზრდის დიდი, ყველაზე ხელმისაწვდომი და ყველაზე სწრაფად ასათვისებელი წყარო, მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, არის მარცვლეული კულტურების ნათესების გაფართოება უაზახეთის, დასავლეთ ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთის, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიისა და ზოგიერთი სხვა რაიონის უამირი და ნასვენ მიწებზე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბევრ რაიონში ნათესი ფართობების სტრუქტურაში დაშვებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებენ, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ უზრუნველყოონ მარცვლეულის წარმოების სწრაფი ზრდა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და სოფლის მეურნეობებს ეძლევათ დიდძალი ახალი ტექნიკა, საჭირო სახსრები მშენებლობისათვის, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში სამუშაოდ იგზავნებიან სოფლის მეურნეობის ორგანიზატორთა და სპეციალისტთა, კვალიფიციურ მუშათა გამოცდილი კადრები.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დონეზე, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უნარზე — გამოიყენონ ხელსაყრელი შესაძლებლობანი, სათავეში ჩაუდგნენ მასების პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას. ამისათვის კი უწინარეს ყოვლისა საჭიროა გავაძლიეროთ ყველა მუშაკის პასუხისმგებლობა, რომლებსაც პარტიამ და მთავრობამ მიანდეს სოფლის მეურნეობის ორგანოებში მუშობა, ბოლო მოვუღოთ ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატულ მეთოდებს.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების იმ პროგრამის განხორციელება, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, გადაწყვეტად არის დამოკიდებული საგაზაფხულო თესვის დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებაზე. ამიტომ სამინისტროების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მუშაობაზე უნდა ვიმსჯელოთ არა მათი სიტყვებისა და დეკლარაციების, არა მათი დირექტივების, არამედ თესვისათვის მომზადების დონის, მინდვრის სამუშაოთა ტემპისა და ხარისხის მიხედვით. საჭიროა, რომ თვითეული ხელმძღვანელი, დაწყებული მინისტრით, პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნითა და საოლქო აღმასკომის თავმჯდომარით და გათავებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარითა და ბრიგადირით, ყოველდღიურად ამოწმებდეს თავის თავს: ყველაფერი გაკეთა თუ არა თავის უბანზე საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის?

მეტ წილ რაიონებში მინდვრის მასობრივ სამუშაოთა დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. თესვისათვის მზადება კი ყველგან არ დამთავრებულა, რამაც შეშფოთების გრძნობა უნდა გამოიწვიოს სამინისტროებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებში. ადგილებიდან მიღებული სიგნალები მოწმობენ, რომ ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რაიონებში თესვისათვის მზადებაში ყველაფერი რიგზე არ არის. მაგალითად, ომსკის ოლქის რუსკაია პოლიანის რაიონმა უნდა აითვისოს 78 ათასი ჰექტარი უამირი და ნასვენი მიწა. როგორ მოემზადა იგი ესოდენ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაჭრისათვის? ცუდად. მტს-ებში არ შეუკეთებიათ ბევრი ტრაქტორი, რაიონში თესლის ორი მესამედი კონდიციური არ არის აღმოცენების მხრივ. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს საკმაოდ არა ჰყავთ სპეციალისტები კოლმეურნეობათა მომსახურებისათვის. ახლად შექმნილი დობროვოლსკის მტს-ის საქმიანობის ზონაში დღემდე არ არის არც ერთი აგრონომი და ზოოტექნიკოსი. განა ეს არ მოწმობს იმას, რომ ცალკეულმა ხელმძღვანელებმა დაკარგეს მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა?

მარცვლეულის წარმოებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია სტავროპოლის მხარეს. სტავროპოლის მხარის მთიხძირა რაიონებში უკვე დაიწყო მინდვრის სამუშაოები. მაგრამ სამხარეო ორგანიზაციები შეუწყნარებლად აჭიანურებენ თესვისათვის მზადების ზოგიერთი გადაუდებელი საკითხის გადაჭრას. მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი. კოლმეურნეობათა მნიშვნელოვან ნაწილს დაბალი ხარისხის თესლი აქვს. ამასთან დაკავშირებით მთავრობამ დროზე დართო ნება გადაეცვალათ თესლი სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში. სტავროპოლის სამხარეო აღმასკომმა ჯერ კიდევ 2 თებერვალს მიიღო დადგენილება თესლის გადაცვლის მოწყობის შესახებ. მას შემდეგ თვენახევარზე მეტი გავიდა, გადაცვლის ოპერაციების გეგმა კი სულ 9 პროცენტით არის შესრულებული. ასეთი მაჩვენებელი კანცელარიული ხელმძღვანელობის შედეგია. როგორც ჩანს, სტავროპოლის მხარეში ჯერ კიდევ არ გამოიკვლიან ისეთი მუშაკები, რომლებიც ფიქრობენ, რომ თუ დირექტივა ხელმოწერილია, დანარჩენი ყველაფერი თავისთავად გაკეთდება.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მოემზადებლობის შესახებ იუწყებიან კოკჩეტავის ოლქიდან, რომელმაც ორ წელიწადში უნდა აითვისოს 1.300 ათასზე მეტი ჰექტარი ახალი მიწა. ამ ოლქის მთელ რიგ რაიონებში საკმარისი არ არის მაღალხარისხოვანი თესლი, განსაკუთრებით მაგარი ხორბლისა, უამირ მიწებზე დასათესად. ცუდად შეაქვთ საწვავი. მაგალითად, რუზაევკის რაიონში საწვავი მომარაგებულია მხოლოდ 4-5 დღისათვის.

ყველა ეს ფაქტი მოწმობს, რომ საოლქო პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები უორგანიზებად თვითდინებას თესვისათვის მზადებაში, შეასუსტეს ორგანიზატორული მუშაობა კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

უნდა გაძლიერდეს ყურადღება საგაზაფხულო თესვის მზადებისა და დამთავრების გადაუდებელი საკითხებისადმი. რა თქმა უნდა, საქმე ეხება არა სხდომებსა და თათბირებს თესვის საკითხებზე, არა მორიგ დირექტივებს გაზაფხულისათვის მზადების შესახებ. საქმე ეხება ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას უშუალოდ კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, კონკრეტულ დახმარებას სოფლის მშრომელებისადმი.

ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების პირდაპირი მოვალეობაა ამ დღეებში იყვნენ კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწვრილებით შეისწავლონ საქმის მდგომარეობა, სოფლის მშრომელებთან ერთად დასახონ და განახორციელონ გაზაფხულისათვის მზადების დამთავრების კონკრეტული ღონისძიებანი. თუ ნაკვეთში საწვავი მიტანილი არ არის, პარტიული ან საბჭოთა მუშაკი, რომელიც მტს-ში, კოლმეურნეობაში იმყოფება, უნდა დაეხმაროს ადგილობრივ ხელმძღვანელს საწვავის მიტანის მოწყობაში. თუ კოლმეურნეებმა ვერ მოასწრეს თესლის გადაცვლა ან გაწმენდა, უნდა დაეხმარონ მათ ამ მუშაობის მოწყობაში. თუ შეკეთებული არ არის ტრაქტორები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან ერთად ენერგიულად უნდა მოჰკიდონ ხელი საქმეს და მიაღწიონ იმას, რომ მანქანების შეკეთება უახლოეს დღეებში დამთავრდეს.

მხოლოდ პარტიული მუშაკების ცოცხალი, ორგანიზატორული მუშაობა კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეუწყობს ხელს იმას, რომ უმოკლეს ვადაში აღმოფხვრათ გაზაფხულისათვის მზადების ნაკლოვანებანი, ხავსებით მომზადებული შეუხვდეთ საგაზაფხულო თესვას. ახლა განსაკუთრებით პასუხისაგები ამოცანები აქვთ დასახული რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფებსა და მდივნებს მტს-ების ზონებში. ისინი უნდა იყვნენ საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის ბრძოლის ორგანიზატორები.

ამჟამად მიმდინარეობს პარტიული კომიტეტების პლენუმები, რომლებზეც განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმის შედეგებს და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ამოცანებს. საჭიროა, რომ პლენუმებზე მწვავედ გააკრიტიკონ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი, დასახონ ამა თუ იმ რაიონის თავისებურებებიდან გამომდინარე კონკრეტული ღონისძიებანი საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისა და პირუტყვის გამოზამრობის ორგანიზებულად დამთავრებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოუწოდა სოფლის მშრომელებს გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და მოსავლიანობის ზრდისათვის, მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. სოფლის მეურნეობის მუშაკები მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას. შეჯიბრებაში მილიონობით ადამიანი მონაწილეობს. საბჭოთა ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი პირნათლად შეასრულოს ამოცანები, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ სოფლის მეურნეობას დაუსახეს.

„პრავდის“ 22-III მოწინავე

ჩვენს დიად სამშობლოში

★

ისკი-ანგარი საყოველთაო-სახალხო მშენებლობაა

სამარყანდი. (საკდესი). ისკი-ანგარის სარწყავი არხის მშენებლებს ზედიზედ შეჰყავთ მწყობრში არხის ბევრი უბანი. არხის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოძმე რესპუბლიკების მშრომელები. ისინი მშენებლებს აწვდიან სხვადასხვა სამშენებლო ტექნიკას. სტალინგრადელებმა გამოგზავნეს მძლავრი ტრაქტორები, ჩელიაბინსკიდან კი მოვიდა გრეიდერები და სკრეპერები. მიწის სამუშაოებს ასრულებენ ვორონეჟის, კოსტრომის და სხვა მანქანათმშენებელი ქარხნების ექსკავატორები. მშენებლები აქებენ იაროსლავლის ავტოქარხნის ათტონიან თვითსაცლელებს.

ამ დღეებში განსაკუთრებით გაცხოველებით მუშაობენ ტაშკენტის რკინიგზის 71-ე ასაქცევზე, რომლის ახლოს მდებარეობს არხის სათავე კვანძი. აქ, ამ პატარა ასაქცევზე, მოდის ტექნიკით დატვირთული მატარებლები. დღეს მოვიდა რკინა, მომძმე რესპუბლიკებში დამზადებული კომბრეესორები, ბეტონსარეველები, ტრანსპორტიორები. მშენებლობის ტექნიკური სამმართველოს განყოფილებაში მოდის დეპეშები, რომ გამოგზავნილია ავტომაწეები, ავტომისაბმელები, ელექტროშემღუღებელი აპარატები და სხვა ტექნიკა.

პირველი ექვსასი კუბური მეტრი მორები გამოგზავნეს ციმბირის სატყეო მრეწველობის მეურნეობებმა. გზაშია რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის, კარელია-ფინეთის სსრ საწარმოებში დამზადებული სტანდარტული სახლები. მექანიკური და ხის დამუშავებელი სახელოსნოების მოსაწყობად მოდის დაზგები, ჩარჩოხერხები, ცირკულური ხერხები და სხვა მექანიზმები.

ლატვიის ჯანმრთელობის კერები ახალი სეზონის წინ

რიგა. (საკდესი). რბილი ჰავა, ზღვის სანაპირო, სამკურნალო წყარო და ტალახი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან იზიდავს მშრომელებს ლატვიის ჯანმრთელობის კერებში. მარტო შარშან რესპუბლიკის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში 120 ათასამდე კაცმა გაატარა შვებულება.

ახლა ყველა 95 სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლში გაჩაღებულია მზადება ახალი საკურორტო სეზონისათვის. მიმდინარე წელს ფართოდ ეგება ჯანმრთელობის კერების ქსელი. მწყობრში ჩადგა სანატორიუმ „ლიჩის“ ახალი საცხოვრებელი კორპუსი. მთელ რიგ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მოეწყო ახალი სასადილოები, დასასვენებელი ოთახები. დაგეგმილია ჯანმრთელობის კერები აშენდეს ძინტარსა და სხვა საკურორტო ადგილებში.

კურორტი კემერი განთქმულია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. გოგირდწყალბადის წყაროები, სამკურნალო ტალახი, ზღვის სანაპირო — ყოველივე ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის მკურნალობისა და დასვენებისათვის. მიმდინარე წელს აქ მოეწყობა მკურნალობა რადონის აბაზანებითა და სოპროპელის (ლამის) ტალახით.

წლის განმავლობაში ლატვიის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში 130 ათასზე მეტი კაცი დაისვენებს.

მოსკოვი დღეს, კომკავშირის მოედანზე.

ფოტო ნ. გრანოვსკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

★

ახალი სასტუმროების მშენებლობა მოსკოვში

იაროსლავლის გზატკეცილის ახლოს, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის რაიონში გაჩნდა ახალი სამშენებლო მოედანი. ექსკავატორები და ბულდოზერები დღე და ღამ მუშაობენ. მოდის მანქანები საშენი მასალით. აქ დაიწყო თხუთმეტი ახალი სასტუმროს აგება. ეს იქნება ხუთსართულიანი სახლებისაგან შემდგარი მთელი ქალაქი, სადაც შესაძლო იქნება მოთავსდეს მოსკოვის რვა ათასამდე სტუმარი.

სასტუმროების პროექტები დაამუშავა მაგისტრალური სახელოსნოს კოლექტივმა სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ს. ანდრეევის ხელმძღვანელობით. სასტუმროების პირველ სართულებში გაიხსნება სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიები, რესტორანი, ფოსტა და ტელეგრაფი, შემახვედელი სალარო, სპარიკმახერო, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

სამშენებლო ტექნიკის, შრომის მოწინავე მეთოდების ფართოდ გამოყენება შესაძლებელს გახდის მშენებლობის მოკლე ხანში დამთავრებას. (საკდესი).

მინდვრის სამუშაოები სამხრეთში

ხერსონი. სამხრეთის რაიონების კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა დაიწყეს მინდვრის სამუშაოები. ყველა მეურნეობაში ეძებენ და პოულობენ მარცვლეულ კულტურათა ნათესების გადიდების შესაძლებლობებს. ბელოზერის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში მრავალწლიანი ბალახების ნათესების შემცირებით, რომლებიც აქ მცირე მოსავალს იძლევა, 800 ჰექტარით დიდდება მარცვლეული კულტურების ფართობი.

ყარში. კაშკა-დარიის ოლქის კოლმეურნეები და მექანიზატორები აჩაღებენ ბამბის თესვას. უკვე დათესეს პირველი რამდენიმე ჰექტარი ბამბა ყასანსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელებმა „ყილ-უზბეკისტანმა“, „კომუნიზმმა“, ენგელსისა და მოლოტოვის სახელობის არტელებმა.

კიშინიოვი. შაქრის ჭარხლის მინდვრებში დაიწყო მზრალად ნახნავის დაკაბდოება და დაფარცხვა. ფართობზე, რომელიც ათი ათას ჰექტარს აღემატება შეკავებულია ტენიანობა. რიბნიცის, ატაკისა და ოკნიცის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაიწყო ნიადაგის თესვისწინა გაფხვიერება. (საკდესი).

მოსკოვი

ა. პ. ჩეხოვის იუბილესათვის

მიმდინარე წლის ზაფხულში სრულდება 50 წელი დიდი რუსი მწერლის ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალებიდან. მოსკოვი ემზადება ამ თარიღისათვის.

დედაქალაქის ბევრი თეატრი უკვე მუშაობს ჩეხოვის პიესების ახალ დადგმებზე. ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრის კოლექტივი მოსკოველებს აჩვენებს „ალუბლის ბაღს“.

ე. ვახტანგოვისა და კ. სტანისლავსკის სახელობის თეატრები ამზადებენ შესანიშნავ პიესას „თოლიას“, რომელიც დიდიხანია არ დადგმულა მოსკოში.

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა იწყებს დიდი მწერლის თხზულებათა თერთმეტტომიანი კრებულის გამოშვებას. წელს გამოვა ორი ტომი. ცალკე გამოცემებად გამოვა ა. ჩეხოვის მოთხრობები კუკრინიკსების ილუსტრაციებით.

მემუარული ლიტერატურის დარგში განზრახულია მეორედ გამოიცეს წიგნი „ჩეხოვი თანამედროვეთა მოგონებებში“.

ი. გრიშაშვილის ლექსები და ზღაპრები

რსფსრ განათლების სამინისტროს საბავშვო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოუშვა სტალინური პრემიის ლაურეატის პოეტ აკადემიკოსის იოსებ გრიშაშვილის ლექსებისა და ზღაპრების წიგნი.

წიგნში მოთავსებულია შემდეგი ნაწარმოებები: „დაეუფლე რუსულ ენას“, „ჩვენი სკოლა“, „დილა“, „ზარმაცი“, „გრიშკა-ბიჭი“ „უნდა ჩიტებს გაუფრთხილდე“, „შეჩვეული ბედურები“, „ოთხი დრო“, „მოლა და ძაღლი“, „ბაბაჯანას ქოშები“. ლექსები და ზღაპრები თარგმნეს მ. სვეტლოვმა, ვ. დერეკავინმა, ვ. ფარტინოვმა, რ. ივნევმა, მ. ივენსენმა, კ. ორსენიევამ და დ. სამოილოვმა.

წიგნი გამოცემულია ლამაზი ყდით, ილუსტრირებულია ა. ჯანაევისა და ლ. ზუსმანის ნახატებით. პასუხისმგებელი რედაქტორია ე. ფრანგულოვა, სამხატვრო რედაქტორი — ო. დემიდოვა. წიგნის ტირაჟია 20.000 ცალი.

ძმათა ჯაფარიძის კონცერტები

მოსკოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მაღაზიებში იყიდება გრამოფონის ფირფიტები, რომლებზეც ჩაწერილია ეს ტრაგიდის მსახიობთა პირველი კონკურსის ლაურეატის, ძველი რომანსებისა და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებთა შემსრულებლის ქეთო ჯაფარიძის მიერ შესრულებული სიმღერები. მოსკოველთა შორის დიდი მოთხოვნილებაა ფირფიტებზე „ყველგან სიწყნარეა“, „რა კარგია ის თვალები“, „მზე რომ ჩადის“, „ნათელი მთვარე“, „წამწამები“, „შვილი“ და სხვ.

ამ დღეებში ქ. ჯაფარიძე იმყოფებოდა მოსკოვში. აქედან გაემგზავრა ლენინგრადში, სადაც გამართავს რამდენიმე კონცერტს. („კომუნისტის“ კორ.).

საკავშირო პროფსაბჭოს XIII პლენუმი

18 და 19 მარტს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, მიმდინარეობდა საკავშირო პროფსაბჭოს XIII პლენუმი. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო კომიტეტების თავმჯდომარეებმა, მანქანათმშენებლობის საწარმოთა პროფკავშირის ქარხანების თავმჯდომარეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კომიტეტების თავმჯდომარეებმა.

მოხსენება „ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და უამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესრულებაში პროფკავშირთა ამოცანების შესახებ გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. მ. შვერნიკმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობა, მთელმა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა და მხარი დაუჭირა.

— საბჭოთა პროფკავშირებმა, — ამბობს ამხ. შვერნიკი, — მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების შემოქმედებითი ინიციატივა უნდა წარმართონ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანის შესრულებისათვის, რომელიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში „ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და უამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ“.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ საბჭოთა პროფკავშირებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად მუშებისა და მოსამსახურეების მობილიზაციის საქმეში. მრეწველობის საწარმოებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებაში და ტრაქტორების, კომბაინების სათადარიგო ნაწილების წარმოებაში სახელმწიფო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ამხ. შვერნიკმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია სათანადოდ არ იბრძვის სოციალისტური სოფლის მეურნეობის დაკვეთების შესასრულებლად. ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების დამზადების დავალებებს სისტემატურად ვერ ასრულებენ ალტაის, სტალინგრადის, ჩელიაბინსკის სტრატეგიული ქარხნები, ვოროშილოვგრადის ოქტომბრის 20 წლისთავის სახელობის ქარხანა, ურალის ტურბინმოტორის ქარხანა და ზოგიერთი სხვა ქარხნები. ამისათვის პასუხისმგებლობა აკისრიათ არა მარტო საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებს, არამედ პროფკავშირთა საქარხნო კომიტეტებსაც.

ილაპარაკა რა ახალი მიწების ათვისების რაიონებისათვის კვალიფიციური კადრების შერჩევასა და მათს საყოფაცხოვრებო და კულტურულ მომსახურებაში პროფკავშირთა ამოცანებზე, ამხ. შვერნიკმა აღნიშნა, რომ საჭიროა ორგანიზაციულად განვამტკიცოთ მუშათა კომიტეტები და პროფკავშირული ჯგუფები მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ყველა მანქანა-ტრაქტორთა სადგურსა და საბჭოთა მეურნეობაში უნდა შეიქმნას მუშათა კომიტეტები, ხოლო ბრიგადებსა და სატრაქტორო რაზმებში — პროფჯგუფები.

— ფართოდ გავრცელების ღირსია, — ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, — ხარკოვის ოლქის კოვიაგოვსკის მტს-ის მუშათა კომიტეტის გამოცდილება, რომელიც ბევრად უწყობს ხელს საწარმოო გეგმების შესრულებას, კოლმეურნეობებში მოსავლიანობის გადიდებას, რენტაბელობის უზრუნველყოფას. მტს-ებში განვითარდა შეჯიბრება პროფესიების მიხედვით, აგრეთვე სატრაქტორო ბრიგადებსა და კომბაინებს აგრეგატებს შორის.

სოციალისტურ ვალდებულებებს განიხილავენ კოლექტივის საერთო კრებებზე და პროფჯგუფებში. მუშათა კომიტეტი აქტიურ გავლენას ახდენს სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაზე. იბრძვის რა ამისათვის, რომ ადმინისტრაციამ აღმოფხვრას ნაკლოვანებანი. შეჯიბრების საჯაროობისა და მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციის უზრუნველსაყოფად უნარიანად იყენებენ რადიოსადგურ „ეროოკის“, რომელიც თვითეულ სატრაქტორო ბრიგადაშია.

მტს-ის ცენტრალურ ნაკვეთში და საველე ბანაკებში მოწყობილია მაჩვენებელთა დაფები, სადაც სისტემატურად შუქდება ტრაქტორისტების მუშაობის შედეგები. სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს აჯამებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა თვითეული პერიოდის შემდეგ. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს არკვევენ მუშათა კომიტეტის სხდომებზე.

სახალხო მშენებლობის მეთოდით მტს-ში აშენებულია კლუბი, სადაც არის ბიბლიოთეკა, რეგულარულად იმართება მკითხველთა კონფერენციები, სალიტერატურო საღამოები, გამოფენები. მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სპეციალისტები კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს.

ახლა მტს-ის ყველა მექანიზატორი პროფკავშირის წევრია.

მუშათა კომიტეტის შეთანხმებულმა და მიზანდასახულმა საქმიანობამ უზრუნველყო მტს-ის მაღალი საწარმოო მაჩვენებლები 1953 წელს. მოკლე ვადებში მოეწყო მოსავლის აღება, საშემოდგომო კულტურების თესვა და მზრალად ხვნა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივმა გამოიყენა ტრაქტორების რემონტის კვანძური მეთოდი და ვადამდე შეასრულა ყველა სარემონტო სამუშაოთა გეგმა.

მოხსენებაში გაკრიტიკებულ იქნა მუშაობა სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ცუდად ხელმძღვანელობს საოლქო კომიტეტებს და მუშათა კომიტეტებს, არ უწევს მათ საჭირო პრაქტიკულ დახმარებას.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისათვის, სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისათვის ბინების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობის საკითხებს. 1954-1956 წლებში მტს-ებში უნდა აშენდეს 10.800 საცხოვრებელი სახლი და 3.000 საერთო საცხოვრებელი. ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას ყოველწლიურად მოხმარდება 450 მილიონი მანეთი. მიმდინარე წელს საბჭოთა მეურნეობებში გათვალისწინებულია აშენდეს 400 ათასამდე კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური შენობების ასაგებად სახელმწიფომ გამოჰყო 148 მილიონი მანეთი. მაგრამ სამეურნეო ხელმძღვანელები და პროფკავშირული ორგანიზაციები მთლიანად ვერ იყენებენ იმ სახსრებს, რომლებსაც სახელმწიფო საბინაო მშენებლობისათვის გამოჰყოფს.

მომხსენებელმა აღნიშნა ნაკლოვანებანი მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაში, აგრეთვე სოფლის მუშაკთა სამედიცინო და კულტურულ მომსახურებაში, აღნიშნა, რომ საჭიროა პროფკავშირულ მუშაკთა მთავარი ყურადღება მიექცეს პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას მშრომელთა ფართო მასებში.

მოხსენების გამო გაჩაღდა გაცხოველებული კამათი.

ბევრმა ორატორმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება ახლა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში ჩასულ მოხალისეთა საყოფაცხოვრებო მოწყობის, სწავლებისა და კულტურული მომსახურებისათვის. ამ საკითხებს შეეხნენ თავიანთ სიტყვებში ალტაის პროფკავშირთა სამხარეო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მარტინოვი, სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშა-მოსამსახურ

საკავშირო პლკკ XII ყრილობა

20 მარტს კრემლის დიდ სასახლეში საკავშირო პლკკ XII ყრილობა განაგრძობდა საკავშირო პლკკ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებების განხილვას.

დილის სხდომაზე პირველმა სიტყვა წარმოთქვა უკრაინის პლკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. შელემმა.

აღნიშნავს რა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს, ამბობს იგი, რესპუბლიკის ახალგაზრდობა უკრაინის ყველა მშრომელთან ერთად გულმოდგინე მადლობას გამოთქვამს დიდი რუსი ხალხისადმი მისი მუდმივი ძმური დახმარებისათვის. როგორც ყველაზე ძვირფას განძს, ისე უფრთხილდება უკრაინის ახალგაზრდობა, მთელი უკრაინელი ხალხი სახელოვან მეგობრობას რუს ხალხთან, ყველა მოძმე საბჭოთა ხალხთან.

ამხ. შველი აკრიტიკებს საკავშირო პლკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაობას. საკავშირო პლკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, განყოფილებათა გამგეები ოშვიათად მიემგზავრებიან ადგილზე, ნაკლებად უწევენ პრაქტიკულ დახმარებას რესპუბლიკურ და საოლქო კომკავშირულ ორგანოებს.

ახალგაზრდობის სახელოვან საქმეებზე ილაპარაკა ყრილობაზე საკავშირო პლკკ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. შუმილოვმა. წმიდად ინახავს და ავითარებს რა პეტერბურგის პროლეტარების მდიდარ რევოლუციურ ტრადიციებს, ახალგაზრდობა შემოქმედებითად მონაწილეობს ტექნიკური პროგრესისათვის, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის დამოშებისათვის, ახალი ტიპის მანქანების, მექანიზმებისა და ხელსაწყოების ათვისებისათვის ბრძოლაში. საკავშირო პლკკ XI ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში ლენინგრადის ორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო 290 ათასი კაცი. ამ ხნის განმავლობაში პარტიაში მიღებულ ამხანაგებს შორის 43 პროცენტზე მეტი კომკავშირელია.

სიტყვა ეძლევა უზბეკეთის პლკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. მურთაზაევს.

იგი ლაპარაკობს, თუ როგორ გადაიქცა უზბეკეთი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის მეოხებით მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად. უზბეკეთი ჩვენი ქვეყნის ბამბის ძირითადი ბაზაა. ბამბის წარმოებამ 1953 წელს 70 პროცენტით და უფრო მეტად გადააჭარბა ომამდელ დონეს. 1954-1958 წლებში უზბეკეთის სს რესპუბლიკაში მებამბეობის შემდგომი განვითარების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ მიღებული დადგენილების შესაბამისად ბამბის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1958 წელს აყვანილ უნდა იქნას 4.200 ათას ტონამდე. რესპუბლიკაში — ცენტრალური ფერგანის ამყამად უდაბურ და ურწყავ მიწებზე, ამუ-დარიის დაბლობში, მდინარე სირ-დარიისა და მდინარე სურხან-დარიის აუზებში შეიქმნა მებამბეობის ახალი რაიონები.

ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ სტარაქტორო ბრიგადის ბრიგადირის ამხ. კავერინის სიტყვას. სულ ერთი თვის წინათ ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირელთა კრებაზე კრემლის დიდ სასახლეში ამხ. კავერინმა აღნიშნა, რომ ტამბოვის ოლქის ლენინდიკის მტს-ის კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, გადაწყვეტილი აქვს სრული შემადგენლობით გადმგზავროს ყაზახეთში.

ახლა ამხ. კავერინმა უკვე ილაპარაკა, თუ როგორ ცხოვრობს ბრიგადა ახალ ადგილს — პავლოდარის ოლქის ლენინის მტს-ში. იქ კომკავშირელებს შეხვდნენ როგორც ახლობელ ადამიანებს, ყველაფერი გაკეთეს იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ ნაყოფიერად იშრომონ.

საკავშირო პლკკ თათრეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. შაკირზიანოვი შეეხო კომკავშირული ორგანიზაციების მიერ ნავთობის მრეწველობის ხელმძღვანელობას. ახალგაზრდა მენავთობეთა მოთხოვნილებანი, ამბობს იგი, დღითიდღე იზრდება, მაგრამ მათ არასაკმაოდ აკმაყოფილებენ. პროდკავშირის ცენტრალური კომიტეტი და ნავთობის მრეწველობის სამინისტრო ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდა მუშების ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის, არ წყვეტენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი სუსტად ავრცელებს ახალგაზრდა მენავთობეთა გამოცდილებას.

გზათა სამინისტროს პოლტავამშართველის უფროსის თანაშემწემ კომკავშირული მუშაობის დარგში ამხ. კისლიაკმა ალაპარაკა ტრანსპორტის კომკავშირელთა მუშაობაზე. ახალგაზრდა რკინიგზელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მემანქანეთა მოძრაობაში მძიმე წონის მატარებელთა წყვანისათვის.

ილაპარაკა რა კომკავშირული მუშაობის ნაკლოვანებებზე, ამხ. კისლიაკმა აღნიშნა, რომ კომკავშირის ბევრი საოლქო და სამხარეო კომიტეტი, აგრეთვე საკავშირო პლკკ ცენტრალური კომიტეტი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ტრანსპორტის კომკავშირულ ორგანიზაციებს. ჩადიან რა ოლქებში, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაკები ოშვიათად შეიხედვენ ხოლმე რკინიგზის ორგანიზაციებში.

სტალინგრადის ჰესის მშენებელთა შესანიშნავ საქმეებზე ილაპარაკა საკავშირო პლკკ სტალინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ბოგატირიოვმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მდიდარმა გამოცდილებამ, რომელიც შეიძინეს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ვოლგა-დონის არხის მშენებლობაზე, შესაძლებელი გახადა მოკლე ვადაში გაჩაღებულიყო სოციალისტური შეჯიბრება ჰესის ახალგაზრდა მშენებლებში.

ახალგაზრდა სტალინგრადელები მხურვალედ გამოეხმაურნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ. ოლქში ათვისებულ უნდა იქნას დაახლოებით 400 ათასი ჰექტარი ასეთი მიწა. გმირი ქალაქის კომკავშირელთა, ახალგაზრდობის პირველი პარტია უკვე გაემგზავრა საბჭოთა მეურნეობებში.

ამხ. ბოგატირიოვმა წინადადება შეიტანა გაჩაღდეს იმ ახალგაზრდა მექანიზატორების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება, რომლებიც ყამირი მიწების ათვისებაზე მუშაობენ.

აზერბაიჯანის პლკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ბაგიროვმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე წარმატებით შრომობს ახალგაზრდობა. შრომითი გმირობის მაგალითებს გვიჩვენებენ ახალგაზრდა მენავთობეები. გასულ წელს 21 ათასზე მეტმა ახალგაზრდა მუშამ ვადამდე შეასრულა საწარმოო გეგმა. ახალგაზრდობაში გაიზარდა ბევრი წარჩინებული მოწინავე მუშაკი, წარმოების ნოვატორი. მაგრამ მუშაობის მოწინავე მეთოდები ჯერ კიდევ ფართოდ არ გავრცელებულა. რესპუბლიკის კომკავშირი სუსტად იბრძვის შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

ამხ. ბაგიროვი ლაპარაკობს, რომ ახალგაზრდობაში არიან ჩამორჩენილი შეხედულების, შრომითი დისციპლინის დამრღვევი ახალგაზრდები. საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს მუშაობა, რათა ახალგაზრდობა აღიზარდოს შრომისადმი პატიოსანი და კეთილსინდისიერი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

დილის სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე საკავშირო პლკკ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის მდივანმა ამხ. შჩეტინინმა, საკავშირო პლკკ მოლოტოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მელკუმმა, ტაჯიკეთის პლკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. რახიმოვამ.

• • •

ყრილობის საღამოს სხდომა გაიხსნა პეჩორის რკინიგზის ვორკუტის სადგურის საორთქლმავლო დეპოს მემანქანის ამხ. ბესკროვნის გამოსვლით. წელიწადნახევრის წინათ პეჩორის მაგისტრალის კომკავშირელმა მემანქანეებმა დიფწყეს შეჯიბრება მძიმე წონის მატარებლების წყვანისათვის, მატარებლის წონის 200 ტონით გადიდებისათვის. ახლა უკვე გზის ბევრ მემანქანეს დაჰყავს მძიმე წონის მატარებლები.

მატარებლების ჩქარონსული მიმოსვლის მოწყობა კოლექტიური საქმეა, თქვა ამხ. ბესკროვნის. ჩვენ, მემანქანეებს, დაგვყავს მატარებლები უბანზე, მაგრამ მათ არ ვადგენთ. მატარებლებს ამზადებენ სადგურების მუშაკები. მაგრამ მათი მუშაობა ისეა დაგეგმილი, რომ მათ პასუხი ეკითხებათ მხოლოდ მომზადებული მატარებლების რაოდენობისათვის და არა წონისათვის. ჩვენ ვთხოვთ გზათა მინისტრს ამხ. ბეშჩევს გადასინჯოს სადგურის მუშაკთა შრომის ორგანიზაცია, გააძლიეროს მათი დაინტერესება მძიმე წონის მატარებლების შედგენით.

ყრილობამ ინტერესით მოისმინა საკავშირო პლკკ იაკუტიის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ატლასოვის სიტყვა. სსრ კავშირის ხალხთა ძმური დახმარებით იაკუტია ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკა, წარა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის მხარე გახდა.

უკიდურესი ჩრდილოეთის კომკავშირელები და ახალგაზრდობა — იაკუტები, ევენკები, ევენები, ჩუქჩები აქტიურად იბრძვიან იმისათვის, რომ რესპუბლიკა მეტ მინერალს, ქვანახშირს, მარილს, ხე-ტყეს, მაღალხარისხოვან ბეწვეულს აძლევდეს ჩვენს ქვეყანას, იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის.

სიტყვა ეძლევა ამხ. შატუნოვს — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის თანაშემწეს კომკავშირელთა შორის მუშაობის დარგში.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებაში, ამბობს იგი, საკმაოდ დიდ როლს ასრულებენ კომკავშირული ორგანიზაციები. ზოგიერთი გვარეობის ჯარებში კომკავშირელები პირადი შემადგენლობის უმრავლესობას შეადგენენ.

არმიისა და ფლოტის კომკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდა მეომრთა აღზრდას. მათ უნერგავენ ფიცისადმი ერთგულებას, მაღალ პოლიტიკურ შეგნებულობას, მამაცობას, გულადობას.

შეიარაღებული ძალების კომკავშირელები, აცხადებს ამხ. შატუნოვი, პირობას აძლევენ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობას, რომ ისინი ყველა საბჭოთა მეომართან ერთად კვლავაც ღირსეულად შეასრულებენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად მათთვის დაკისრებულ ამოცანებს.

საკავშირო პლკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგანიზატორმა გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში ამხ. კროპოტოვმა გაუზიარა დამსწრეთ ჩვენს ქვეყნის უდიდესი საწარმოს კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება. კომკავშირის კომიტეტმა სოციალისტური შეჯიბრება მოაწყო ახალგაზრდობაში, რომლის მთავარი ყურადღება მიაპყრო საამქროების ტიტულ მუშაობის, შრომის ნაყოფიერების გადიდებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ქარხნის ახალგაზრდობაში გაჩაღდა ბრძოლა სოფლის მეურნეობის დაკვეთების ვადამდე შესრულებისათვის. ამ მიზნით მოეწყო კომკავშირული საგუშაგოები და ახალგაზრდული ბრიგადები.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე მოლდავეთის პლკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კონსტანტინოვი, საკავშირო პლკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგანიზატორი მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში ამხ. ხლებუტინი, ყაზახეთის პლკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. აბდრაზაკოვი.

თავმჯდომარე — საკავშირო პლკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. აბლოვი აცხადებს, რომ ყრილობის სახელზე მრავალი დეპეშა მოდის ჩვენი ქვეყნის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისაგან, რომელნიც გამგზავრნენ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. ისინი პირობას აძლევენ ყრილობას, რომ თავდადებული შრომით გაამართლებენ პარტიის, კომკავშირის ნდობას. (საკდესი).

ქალაქ გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სამკითხველო დარბაზში.

ფოტო გ. ვარტანგაძისა.

მოძრავი ბიბლიოთეკა-ავტომობილები

აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, გორის მთიანი სოფლების მოსახლეობის, აგრეთვე შორეულ საძოვრებზე მყოფი მწყემსების წიგნით უკეთ მომსახურებისათვის მოწყობილია მოძრავი ბიბლიოთეკა-ავტომობილები.

მოძრავი ბიბლიოთეკა-ავტომობილების მუშაკები წინასწარ სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებას წიგნებზე, ადგილებზე მიაქვთ ყველა სახის ლიტერატურა. მათს განკარგულებაშია 45.000 ცალი მხატვრული, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო დარგის წიგნები. შარშან მომსახურება გაეწია 4.000-ზე მეტ მკითხველს, გაეცა 24.000-მდე ცალი წიგნი, მათ შორის სახუნებისმეცნიერო და სოფლის მეურნეობის საკითხებზე 4.000-მდე წიგნი. ხშირად ეწყობა წაკითხული წიგნების გარჩევაც.

მოძრავი ბიბლიოთეკების წიგნის ფონდი გაანუწყვეტლივ იზრდება. სახამფრო სამთავრებზე — ჩორნი რინოკში მომუშავე მოძრავ ბიბლიოთეკა-ავტომობილს ამ დღეებში გადაეცა 15.000 ცალი სხვადასხვა ახალი წიგნი.

მოძრავი ბიბლიოთეკა-ავტომობილები წელს იმუშავებენ აგრეთვე ზუგდიდის, თელავის, ქლუხორისა და მარნეულის რაიონებში.

ახალი წიგნები

ირაკლი აბაშიძე — „საბავშვო ლექსები და პოემები“, საბლიტგამი, თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 7.000, გვ. 259, ფასი 6 მან. 20 კან.

წიგნში დაბეჭდილია ლექსები, პოემები: „პარტიზანთა სავარძელი“ და „რას გადაურჩა თბილისი“, ლექსების ციკლი „შეფიწავლოთ ყოველი ფრინველი და ცხოველი“, რუსული ლიტერატურიდან თარგმნილი ნაწარმოებები.

კონსტანტინე გამსახურდია — „დავით აღმაშენებელი“, ტეტრალოგია, მესამე წიგნი, სახელგამი, თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 20.000, გვ. 495, ფასი 8 მან. 20 კან.

ეს რომანი, როგორც ცნობილია, გაშლილია საქართველოს შორეული წარსული, მე-11-12 საუკუნეების ცხოვრების ფონზე. მწერალმა გათვალისწინა ამ ნაწარმოების შესახებ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები. წიგნში შეტანილია ზოგიერთი ცვლილება, გაუმჯობესებულია ცალკეული ადგილები და განსაკუთრებით ენა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია

აშა წლის 20 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა საბერძნეთის ელჩს მოსკოვში ბ-ნ კონტუმასს გადასცა შემდეგი შინაარსის ნოტა:

1953 წლის 26 ოქტომბრის ნოტით საბჭოთა მთავრობამ საბერძნეთის მთავრობის ყურადღება მიიქცია იმას, რომ საბერძნეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1953 წლის 12 ოქტომბერს ხელმოწერილი შეთანხმება ამერიკის სამხედრო ბაზებისათვის საბერძნეთის ტერიტორიის გადაცემის შესახებ და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის გეგმების შესაბამისად საბერძნეთის ტერიტორიაზე რკინიგზებისა და სხვა გზების გამოყენების შესახებ ეწინააღმდეგება მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებს და მოწმობს, რომ საბერძნეთის მთავრობა შეუდგა იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა უშუალო მიზანია ახალი ომის მომზადება.

უკანასკნელი დროის ფაქტები ადასტურებენ საბჭოთა მთავრობის ამ განცხადების სისწორეს.

გამოქვეყნებული მონაცემებიდან ცნობილია, რომ საბერძნეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს დიდი სამხედრო მანევრები უცხოეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობით, წარმოებს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სარდლობის წარმომადგენელთა საინსპექციო მოგზაურობა საბერძნეთში, ხშირია ვიზიტები ამერიკის სამხედრო გემების დიდი შენაერთებისა საბერძნეთის ნავსადგურებში, ფართოვდება ამერიკის მიერ საბერძნეთისათვის იარაღის მიწოდების მასშტაბი და ძლიერდება ამერიკის სამხედრო ბაზების მშენებლობა საბერძნეთის ტერიტორიაზე.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ცნობები, რომ სწრაფად მიმდინარეობს ამერიკის ბაზის მშენებლობა სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ფლოტისათვის კუნძულ კრეტაზე, აგრეთვე, რომ განზრახულია ამერიკის ბომბდამშენთა და სადაზვერვო ავიაციის მთავარი ბაზების მშენებლობა ეგეოსის ზღვის საბერძნეთის კუნძულებზე, რომლებიც მდებარეობენ კრეტა-ლემნოს-დარდანელის ხაზზე. ამასთან, სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზების მშენებლობა მიმდინარეობს ეგეოსის ზღვის იმ კუნძულებზეც (როდოსი, კალკი, კასოსი და სხვ.), რომლებიც იტალიასთან საზღვაო ხელშეკრულების თანახმად დემილიტარიზებული უნდა დარჩნენ.

ამ ღონისძიებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებს, საბერძნეთის მთავრობა ახორციელებს იმ დროს, როცა სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკითხს, რომ საჭიროა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ამ მიზნით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა ევროპის სახელმწიფოების მხრივ.

1953 წლის 10 ნოემბრის ნოტაში საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა, რომ საბერძნეთ-ამერიკის აღნიშნული შეთანხმება თითქოს ნაკარნახევი იყოს საბერძნეთის უშიშროების „უზრუნველყოფისადმი მისწრაფებით და არ იყოს მიმართული ბალკანეთის მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ. მაგრამ ეს განცხადება აშკარად ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ ფაქტებს. ამას ადასტურებენ აგრეთვე საბერძნეთის ზოგიერთი ოფიციალური წარმომადგენლის ამასწინანდელი განცხადებანი, რომლებიც შეიცავენ მოწოდებას — გააძლიეროონ საომარი მზადება.

როგორც უკვე აღნიშნული იყო საბჭოთა მთავრობის 1953 წლის 26 ოქტომბრის ნოტაში, საბერძნეთს არავინ არ ემუქრება და არავინ არ აპირებს მასზე თავდასხმას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, საბერძნეთის მთავრობამ უეჭველია იცის, რომ სსრ კავშირი განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებს სახელმწიფოთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის განვითარების პოლიტიკას. ამან გამოხატულება ჰპოვა შესაბამის წინადადებებში, რომლებიც შეიტანა საბჭოთა მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, და ამას გარდა, მის უკანასკნელ წინადადებებში ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხზე. საბერძნეთის მთავრობამ აგრეთვე იცის, რომ ბალკანეთის სახელმწიფოები, რომლებთანაც საბერძნეთის ურთიერთობა არ არის სავსებით მოწესრიგებული, თავის მხრივ მზად არიან მოაწესრიგონ ურთიერთობა საბერძნეთთან, რაც ხელს შეუწყობს ბალკანეთში მშვიდობის განმტკიცებას.

ზემოაღნიშნულის მიხედვით ცხადია, რომ საბერძნეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო შეთანხმების დადება დაბრკოლებას უქმნის ბალკანეთში მშვიდობის განმტკიცებას, რასაც არ შეიძლება ანგარიშს არ უწევდეს საბჭოთა კავშირი.

საბერძნეთის მთავრობის ნოტაში შემდეგ აღნიშნულია, რომ ბერძენ ხალხს სურს აღადგინოს საბერძნეთი მშვიდობისა და დამოუკიდებლობის პირობებში. საბჭოთა მთავრობას ეჭვი არა აქვს, რომ ბერძენი ხალხი დაინტერესებულია მშვიდობის განმტკიცებით და ესწრაფვის მას. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ თვით საბერძნეთში ფართო საზოგადოებრივი წრეები გმობენ ხსენებულ შეთანხმებას და სამართლიანად აღნიშნავენ, რომ იგი არის საბერძნეთის ეროვნული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის უხეში დარღვევა და საფრთხეს უქმნის საბერძნეთის უშიშროებას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობა კვლავ მიაქცევს საბერძნეთის მთავრობის ყურადღებას იმას, რომ აღნიშნულ სამხედრო ღონისძიებათა განხორციელების „შედეგებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება საბერძნეთის მთავრობას“.

ბ-ნმა ა. კონტუმასმა აღუთქვა, რომ აღნიშნული ნოტის ტექსტს გადასცემს საბერძნეთის მთავრობას.

კომუნისტური პარტიის VIII ყრილობა

კომუნისტური პარტიის VIII ყრილობა, რომელიც შედგა 1919 წლის 18-23 მარტს, ჩვენი ქვეყნის უფლებრივად რთულ საერთაშორისო და საშინაო ვითარებაში მიმდინარეობდა. გაბოროტებული შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელთა ინტერვენციის გაერთიანებული ძალები ყოველმხრივ ცდილობდნენ მშრომელთა ხელისუფლების სისხლში ჩახშობას. საბჭოთა სახელმწიფოს თავს მოახვიეს სამოქალაქო ომი.

ყრილობის მთელი მუშაობა წარიმართა კომუნისტური პარტიის ორგანიზატორული როლის გაძლიერებით მრავალრიცხოვანი მტრების განადგურებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში მშრომელთა მასების მობილიზაციის ნიშნით.

ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ანგარიშით და პარტიის ახალი პროგრამისა და სოფლად მუშაობის შესახებ მოხსენებებით გამოვიდა ვ. ი. ლენინი.

ყრილობამ განიხილა და მიიღო პარტიის ახალი პროგრამა. პარტიის პროგრამის შესახებ მოხსენებაში ვ. ი. ლენინმა მოგვცა სახელმძღვანელო მითითებანი.

ვ. ი. ლენინმა გაილაშქრა ბუხარინის ანტიპარტიული თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვდა პროგრამიდან ამოღებულიყო პუნქტი სამრეწველო კაპიტალიზმის შესახებ, წვრილი სასაქონლო წარმოებისა და საშუალო გლეხობის მეურნეობის შესახებ. ბუხარინი უარყოფდა საშუალო გლეხობის როლს სოციალისტურ მშენებლობაში, უარყოფდა მშრომელ გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის მნიშვნელობას და ამ კავშირში მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს, ჩქმალავდა წვრილი, სასაქონლო გლეხური მეურნეობიდან კულაკური ელემენტების წარმოშობისა და ზრდის ფაქტს.

ყრილობამ მიიღო ლენინის წინადადება იმის შესახებ, რომ პროგრამაში იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის, განსაზღვრასთან ერთად შეტანილი ყოფილიყო სამრეწველო კაპიტალიზმისა და მარტივი სასაქონლო მეურნეობის აღწერა, რაც შეიცავდა ჯერ კიდევ პარტიის II ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა.

ყრილობაზე დიდი ბრძოლა გაიმართა აგრეთვე ეროვნულ საკითხზე. პარტიის მტრები ბუხარინი და პიატაკოვი წინააღმდეგი იყვნენ, რომ პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო პუნქტი ერთა თვითგამორკვევის უფლებისა და თანასწორობის შესახებ იმ საბაბით, თითქოს ის ხელს შეუშლიდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას, სხვადასხვა ეროვნების პროლეტარების გაერთიანებას. ვ. ი. ლენინმა გამანადგურებელი პასუხი გასცა ბუხარინისა და პიატაკოვის ანტიპარტიულ დიდმპყრობელურ-შოვინისტურ შეხედულებებს ეროვნულ საკითხზე.

ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც აგებული იყო მეცნიერულ საფუძვლებზე. პროგრამაში მოცემულია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად აღმოცენებული ახალი, საბჭოთა სახელმწიფოს სრული დახასიათება, სახელმწიფოთა ორი სისტემის — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და საბჭოთა სისტემების შედარება, ნაჩვენებია საბჭოთა ხელისუფლების როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის, უპირატესობა ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმთან შედარებით. აღნიშნულია პარტიის კონკრეტული ამოცანები სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

პარტიის VIII ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში უდიდესი ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო მდგომარეობაში. ჩვენს ქვეყანაში აშენებულია სოციალიზმი. საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ. ამასთან დაკავშირებით პარტიის პროგრამა, რომელიც მიღებულ იქნა 1919 წელს პარტიის VIII ყრილობაზე, გადამუშავებას საჭიროებს. ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ პროგრამის გადასამუშავებლად გამოჰყო კომისია, რომელმაც ახალი პროგრამის პროექტი განსახილველად უნდა წარუდგინოს პარტიის მორიგ ყრილობას.

პარტიის VIII ყრილობაზე განსაკუთრებული ადგილი ეკავა საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხს. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი პრინციპია. პროლეტარიატის დიქტატურა მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირს ეყრდნობა. ვ. ი. ლენინის უდიდესი დამსახურება ის არის, რომ მან მთელი გარკვეულობით წამოაყენა და დასაბუთა დებულება იმის შესახებ, რომ მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას შორის კავშირი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების აუცილებელი პირობაა, რომ გლეხობის განთავისუფლება შეუძლია მხოლოდ რევოლუციურ პროლეტარიატს, რომ მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან წარმოადგენს საიმედო ძალას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებდა თავის სტრატეგიულ ლოზუნგებს გლეხობის საკითხში რევოლუციის ეტაპების მიხედვით, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში (1905-1917 წ. თებერვალი) კომუნისტური პარტიის სტრატეგიული ლოზუნგი იყო: მთელ გლეხობასთან ერთად, მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ ბურჟუაზიის ნეიტრალიზაციის პირობებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის. სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში 1917 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე კომუნისტური პარტიის სტრატეგიული ლოზუნგი იყო: უღარიბეს გლეხობასთან მტკიცე კავშირში, ქალაქად და სოფლად კაპიტალიზმის წინააღმდეგ საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის პირობებში, პროლეტარიატის ძალაუფლებისათვის. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კომუნისტური პარტიის პოლიტიკას გლეხობის საკითხში.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საშუალო გლეხობასთან სწორ დამოკიდებულებას.

ყრილობამ მიიღო ლენინის მიერ შემუშავებული რეზოლუცია — „საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ“, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების კონკრეტული ამოცანები სოფლად მუშაობისათვის. გლეხობის, მთელი მშრომელი მასების, კერძოდ საშუალო გლეხობის ხელახალი აღზრდის, გარდაქმნის და სოციალისტური მშენებლობის გზაზე მისი მეურნეობის გადაყვანის საქმეში ლენინი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების მიწოდებას, რასაც შეეძლო შეემუშუბუქებინა და გაეუმჯობესებინა მშრომელი გლეხობის მატერიალური ცხოვრების პირობები. „საშუალო გლეხობა,—აღნიშნავდა ლენინი ყრილობაზე, — კომუნისტურ საზოგადოებაში მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენს მხარეზე, როცა ჩვენ შევამსუბუქებთ და გავაუმჯობესებთ მისი ცხოვრების ეკონომიურ პირობებს. ჩვენ რომ შეგვეძლოს ხვალ 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორის მიცემა, მათი მომარაგება ბენზინით, მათი მომარაგება მემანქანეებით (თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჯერჯერობით ეს ფანტაზიაა), მაშინ საშუალო გლეხი იტყოდა: „მე კომუნიის მომხრე ვარ“ (ვ. ი. კომუნიზმის მომხრე ვარო)“. (ტ. 29, გვ. 242-243).

კომუნისტური პარტია, პრაქტიკულად ახორციელებდა რა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეას, ამასთანავე გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდა ტროცკისტ-ბუხარინელების გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მიმართული იყო იმისაკენ, რომ ჩამოეგდოთ განხეთქილება მუშებსა და გლეხებს შორის, მუშათა და გლეხთა კავშირი შეეცვალათ კულაკობასთან კონტრრევოლუციური ბლოკით და ჩაეშალათ სოციალისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. ემყარებოდა რა ლენინის კოოპერაციულ გეგმას, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ი. ბ. სტალინის მეთაურობით შეიმუშავა და განახორციელა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკა.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი კიდევ უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა. ამ მტკიცე ნიადაგზე შეიქმნა მთელი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომლის მსგავსი მსოფლიო ისტორიამ არ იცის. სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა სოციალისტურმა ქალაქმა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ.

კომუნისტური პარტია და სა

სანიმუშოდ ჩავაბარეთ საგაზაფხულო ხვნა-თესვა

ვიბრძვით მოსავლიანობის გაღიდებისათვის

ჩვენი კოლმეურნეობის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ. კოლმეურნეებმა გააჩაღეს მუშაობა არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის და ერთგვარ წარმატებებსაც მიაღწიეს. გასულ სამეურნეო წელს კოლმეურნეობამ 124 ტონის ნაცვლად 132 ტონა ხაის ხარისხოვანი ფოთოლი ჩაბარა სახელმწიფოს.

შარშან კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 1,5 მილიონ მანეთს მიაღწია. კოლმეურნეებს თვითეულ შრომადღეზე ერგოთ 4 კილოგრამი მარცვლეული და 10 მანეთი ფულად. ეს მიღწეული ჩვენ რიდი გვაკმაყოფილებს.

კოლმეურნეები, რომლებიც გეეცნენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის დადგენილებას, ამ დღეებში უფრო ძალიერებენ შემოქმედებითს შრომას ყველა კულტურის უხვი მოსავლის მიღებისადმი.

ახლა გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები. ჩვენ დავთესავთ 300 ჰექტარ სიმინდს, აქედან 100 ჰექტარს კვადრატულ-ბუდობრივი წესით და თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 30 ცენტნერ მოსავალს ნაცვლად 22 ცენტნერისა, ხოლო 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 100 ცენტნერს.

გადაწყვეტილი გვაქვს წელს ავითვისოთ 200 ჰექტარი ყამირი მიწა. უკვე ათვისებულია 50 ჰექტარი. საკმარისად გვაქვს ყველა სახის კონდიციური თესლი. საგაზაფხულოდ მოხნულია 100 ჰექტარზე მეტი. წელს გავაშენებთ 5 ჰექტარ ჩაის ახალ პლანტაციას. კარგად მუშაობენ ის ბრიგადები და რგოლები, რომლებსაც ტ. ჯაკონია, დ. ქავთარაძე, ა. ლაკრბაია, ი. თოდუა და ა. ქანდარია ხელმძღვანელობენ. თავდადებით შრომობენ კოლმეურნეები რ. ადამია, პ. სართანია, მ. ყურაშვილი, ს. კვარაცხელია და სხვები.

ჩვენი ლონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ სანიმუშოდ მოვაწყოთ საგაზაფხულო თესვა, მივაღწიოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდებას. აუცილებელია მტს-მა მეტი დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობას შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის ფართოდ დანერგვაში.

პირობას ვდებთ პროგრესულ ლონისძიებათა დანერგვით წელს სამშობლოს მივცეთ მეტი ჩაი და შევქმნათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე.

გ. ნანეიშვილი,
ხობის რაიონის სოფელ ძველი ხიბულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

როცა მტს-ი მოუქნელად მუშაობს

ბათუმის რაიონში ჩამორჩება საგაზაფხულო ხვნა, ბოსტნეულის თესვა-რგვისათვის ნიადაგის მომზადება და ზოგიერთი სხვა სამუშაობი. 15 მარტისათვის საგაზაფხულოდ მოხნულიყო მხოლოდ 60 ჰექტარი, ნაცვლად 600-სა. ამასთან საგულისხმოა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში ეს სამუშაო დაწყებული არ ჭარხლათ. ხვნას აჭიანურებენ სოფელ ანგისის მოლოტოვის სახელობის, გონიოს ანდრეევის სახელობის, ახალ ოდანოვის სახელობის, ახალსოფლის ტიმირიაზევის სახელობის კოლმეურნეობები.

წელს ქალაქთან ახლო მდებარე კოლმეურნეობებში განსაკუთრებული ყურადღება ეძღვნება მბოსტნეულობა-მებაღეობის განვითარებას. გასულ წელთან შედარებით ბოსტნეულის ფართობი 27 ჰექტარით გაიზრდება. მაგრამ ბოსტნეული კულტურების დასთესვა ნიადაგის მომზადება დღემდე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 102,5 ჰექტარის ნაცვლად მომზადებულია 68,6 ჰექტარი. მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ შეუსრულებიათ ბოსტნეულ-ბაღეულე კულტურების საშემოდგომო თესვის დავალება. ჩამორჩება სასმინდე და საბოსტნე ნაკვეთებში ორგანული სასუქის გატანის სამუშაოები.

ჰიანურდება კარტოფილის დასარგავი ნიადაგის მომზადებაც. რაიონში შესრულებულია ამ სამუშაოს მხოლოდ მეოთხედი ნაწილი. აკლიათ 150 ტონა სათესლე კარტოფილი და 15 ცენტნერი ლობიო.

ქობულეთის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ბათუმის რაიონის კოლმეურნეობათა მომსახურება აქვს დაკისრებული, ბედის ანაბარად არის მიტოვებული. მას არა აქვს საკუთარი ბაზა და მოძრავი ან სტაციონარული სახელოსნო. მოუწესრიგებელია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები. მექანიზატორებს სამუშაოდ 10-15 კილომეტრზე უხდებათ სიარული. არ არსებობს სამუშაოთა გრაფიკი, სუსტია კონტროლი შესრულებულ სამუშაოთა ხარისხზე. ამის გამო რა გასაკვირველია, რომ ძლიერ დაბალია სატრაქტორო ბრიგადის შრომის ნაყოფიერება. ვერც ერთი მექანიზატორი ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმებს. თვითეული მთგანი ნაცვლად 8-9 ჰექტარისა ცვლაში 3-4 ჰექტარს ხნავს და ისიც ხარვეზებით.

ოდგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა შემქმნელი მდგომარეობიდან სათანადო დასკვნები უნდა გაკეთონ.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

უხალისოდ, უინიციატივოდ

მინდვრებში სახნავად გავიდა წითელწყაროს მტს-ის ყველა ტრაქტორი. წელს მექანიზატორებმა სრულყოფილად განახორციელეს რემონტის პროგრესული კვანძური მეთოდი, რამაც მნიშვნელოვნად გაადიდა შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესა ხარისხი. მექანიზატორებმა თვენახევრით ადრე დაამთავრეს ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტი.

მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობები იმისათვის იბრძვიან, რომ ახლებურად გარდაქმნან მუშაობა. მნიშვნელოვნად გაიზრდება ბოსტნეულის, პიტუტყვის საკვები ბალახების ნათესები. ამ გაზაფხულზე მანქანა-ტრაქტორთა სადგური კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესავს 1.715 ჰექტარ სიმინდს, მზესუმზირასა და კარტოფილს. თესვის პროგრესული წესების დასანერგავად ეწყობა საუბრები, ლექციები, სემინარები.

გამარჯვების მტს-ის მექანიზატორები გულდასმით გაეცნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ახლახან გამოქვეყნებულ დადგენილებას და მტკიცედ გადაწყვიტეს გააფართოონ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, ამაღლონ მოწათმოქმედების კულტურა, განუხრელად დანერგონ სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილება, ამასთან თვითეულ ჰექტარზე — 3-5 ცენტნერით გაზარდონ ხორბლის, სიმინდისა და მზესუმზირას მოსავალი, ხოლო — ყურძნისა — ორჯერ მაინც. საამისოდ უკვე გაჩაღდა მუშაობა. ტრაქტორისტები ს. ბაღაშვილი და ფ. გოგიშვილი პირველი გავიდნენ მინდვრად. მათ არ-ბოშიკის კოლმეურნეობას უკვე მოუხნეს 70 და დაუთესეს 15 ჰექტარი. დაიწყო ვენახების რიგთა შორის ხვნა, საბაღე ნაკვეთების მომზადება.

საგაზაფხულო თესვისათვის უკეთესად მოემზადა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა, რომელმაც ათას ჰექტარამდე სიმინდი, მზესუმზირა, ბოსტნეული, კარტოფილი და საკვები ბალახები უნდა დათესოს. კოლმეურნეობა უზრუნველყოფილია კონდიციური თესლით. დასათესად მზად არის 720 ჰექტარი მზრალი, 450 ჰექტარზე მოეწყობა კვადრატულ-ბუდობრივი თესვა. კოლმეურნეობის ფართობებში ხვნას შეუდგა ტრაქტორისტი გ. შანშიაშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. დაბლობებში გაჩაღდა თესვაც. ამასთან კოლმეურნეობის გამგეობა სერიოზულ ყურადღებას აქცევს ნასვენი და გამოუყენებელი მიწების ხვნას. მიღარბე ათვისებულ იქნება 12 ჰექტარი ნაჭაობარი.

საგაზაფხულო თესვის გადამწყვეტი დღეების წინ წითელწყაროელ მხვნელმთესველებს ყველაფერი როდი აქვთ წესრიგზე. ვადის გასვლის მიუხედავად, რემონტი დანაშაულებრივად ჭიანურდება შირაქისა და ქედის მტს-ებში. ქედის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში რემონტი თავიდანვე უხალისოდ, უინიციატივოდ, ძველი, დახავსებული მეთოდით დაიწყო. დირექცია ოდნავადაც არ ცდილა დროულად აღმოეფხვრა შემჩნეული ნაკლოვანებები, გადამწყვეტი გარდატეხა მოეხდინა ჩამორჩენაში. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შესუსტების გამო ხშირია უდისციპლინობის შემთხვევები. შ. პატაშური და ა. რაფალიანცი სისტემატურად არღვევდნენ შრომის დისციპლინას. დისციპლინის დამრღვევთა შორის არიან გ. ჩინაშვილისა და ხ. მამუკაშვილის სატრაქტორო ბრიგადების ტრაქტორისტებიც. მტს-ს რემონტიდან ჯერ კიდევ არ გამოუშვია 14 ტრაქტორი. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დღემდე არც ერთ სატრაქტორო ბრიგადას არ დაუმთავრებია მანქანა-იარაღების შეკეთება.

კოლმეურნეობები კარგა ხანია ელიან ტრაქტორებს, მექანიზატორებს, მაგრამ მტს-იდან არა ჩანს რაიმე დახმარება, ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესვის აგროტექნიკური ვადები კი იწურება.

უკეთესი მდგომარეობა არც თესლის მომარაგების მხრივ არის. ბევრგან გამოყვეს მხოლოდ სათესლე სიმინდი, მზესუმზირა და თავს არხეინად გრძნობენ. ქედის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს ბოსტნეულ-ბაღეულის, ძირნაყოფების, კარტოფილისა და ბალახების თესლის მთლიანად შეძენა.

თესლის მომარაგების მხრივ ცუდი მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაშიც. ეს განსაკუთრებით ითქმის წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაზე, რომელსაც დღემდე არა აქვს 28 ტონა სათესლე კარტოფილი, 10 ცენტნერი ლობიო, ბოსტნეულის თესლი, ხოლო 100 ცენტნერი შვრია უკონდიციოა. ანალოგიური მდგომარეობაა ამავე სოფლის მოლოტოვის სახელობის და სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობებში.

ცუდად არის ორგანიზებული მინდვრად სასუქების გატანის საქმეც. წითელწყაროს მტს-ის ზონის კოლმეურნეობებს 740 ტონა მინერალური სასუქი უნდა გაეტანათ, ფაქტიურად ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა.

შირაქის მტს-ში უჩივიან სათადარიგო ნაწილების ნაკლებობას და რემონტის ჩამორჩენას მთლიანად ამ მიზეზით ხსნიან. ფაქტიურად ჩამორჩენა გამოწვეულია იმითაც, რომ მტს-ში წლების განმავლობაში არ ინერგება ტრაქტორების შეკეთების კვანძური მეთოდი, სათადარიგო ნაწილების მომარაგებას ხშირად შემთხვევითი ხასიათი ეძლევა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ძალებით ამ გაზაფხულზე 2.700 ჰექტარი უნდა დაითესოს. ახლა არსებობს სრული საშუალება გაჩაღდეს ხვნა-თესვა, მაგრამ მტს-ი ამ სამუშაოს მოუმზადებელი ხვდება.

წითელწყაროელ მხვნელ-მთესველებს მოსავლიანობის გადიდების, მოწინავე გამოცდილების დანერგვის კარგი ტრადიცია აქვთ. საჭირო იქნებოდა მუშაობის ამ გამოცდილების ფართოდ გავრცელება, დანერგვა, გაღრმავება. ეს კი შესაძლებელია სოფლად პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებით, რომ პარტიული ხელმძღვანელობა დაუახლოვდეს მასებს, ადამიანებს. სწორედ ამ საკითხის შეუფასებლობამ წარმოშვა სერიოზული ნაკლოვანებები საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ რაიკომების მდივნები მტს-ების დარგში და ინსტრუქტორები დღემდე ისევ სხედან კაბინეტებში და რაიონის ცენტრიდან ცდილობენ გაუწიონ ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებსა და მტს-ებს. ამიტომ ისინი კოლმეურნეობებისა და მტს-ების ცხოვრებას ღრმად ვერ სწვდებიან და საჭირო დახმარებას არ უწევენ. ამ ზარელე, არაოპერატიული ხელმძღვანელობის შედეგი სავალალოა, რაც სერიოზულად აფერხებს საგაზაფხულო ხვნა-თესვასთან დაკავშირებული სამეურნეო ამოცანების გადაჭრას.

გ. ოქრუაშვილი,
გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

„ობიექტური მიზეზებით“ გულდამშვიდებული

გასული სასოფლო-სამეურნეო წელი ბორჯომის რაიონმა დაბალი მაჩვენებლებით დამთავრა. არ შეუსრულებიათ მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმები. 3.520 ჰექტარიდან მზრალად მოხნეს მხოლოდ 156 ჰექტარი.

რაიონში სუსტად მიმდინარეობს ბრძოლა გასული წლის სამარცხვინო შედეგების გამოსწორებისა და მიმდინარე წელს ყველა კულტურის უხვი მოსავლის მიღებისათვის. გაზაფხულის დადგომა არ იგრძნობა.

დაბა წაღვერის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. სპიტარი) ორი სამეჯლო აქვთ, მიუხედავად ამისა, გუთნების რემონტი ჯერაც არ დაუწყიათ. აკლიათ 78 ცენტნერი კარტოფილის თესლი. თესლის ნაწილი ცუდი მოვლის გამო გაფუჭდა. კოლმეურნეობას არა აქვს ხახვის, სტაფილოს, კომბოსტოს, სუფრის ჭარხლის და საკვები ძირხვენების თესლი.

დაბა ბაკურიანის და სოფელ დიდი მიტარბის კოლმეურნეობებს ჯერ არ წარუდგენიათ თესლის ხარისხის ლაბორატორიაში შესამოწმებლად გაზაფხულის ხორბლის და ქერის თესლის ნიმუშები. ამ კოლმეურნეობებში თესლის მომარაგებას ხელს ის უშლის, რომ ჯერ დამთავრებული არა აქვთ გასული წლის მოსავლის ლეწვა.

რაიონში მეკარტოფილეობის განვითარების სრული შეუფასებლობას იჩენენ. მიუხედავად იმისა, რომ ბორჯომის რაიონში ამ კულტურის უხვი მოსავლის მიღების საუკეთესო პირობებია, მეტი წილი კოლმეურნეობები ყოველწლიურად კარტოფილის დაბალ მოსავალს იღებენ. ვხვდებით თვალსაჩვენოს ფაქტებსაც. გეგმით გათვალისწინებული ფართობები არ ითესება. არც თესლის ნორმებს იცავენ. ასეთი ცუდი მუშაობის გამო კარტოფილის მოყვანის მხრივ წამყვან კოლეურნეობებს — გუჯარეთს, გვერდისუბანს, ციხოჯვარს, ტაბაწყურს და ბალანთის დიდი რაოდენობით აკლიათ კარტოფილის თესლი. სულ რაიონში აკლიათ 3.750 ცენტნერი კარტოფილის თესლი.

გასულ წელს ბორჯომის რაიონში ჩამოყალიბდა მეცხოველეობის სამანქანო სადგური. ეს ადგილსამყოფელად შერჩეულია დაბა წაღვერი. სამანქანო სადგურის მუშაობაში ბევრი ხელშემშლელი პირობაა. ცის ქვეშ უხდებათ ტრაქტორებისა და იარაღ-მანქანების რემონტი. აქ უკანასკნელად ოგო მხლოდ თავშესაფარველი პატარა ფარდული. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო რატომღაც დღემდე აჭიანურებს მეცხოველეობის სამანქანო სადგურის საჭიროებისათვის თანხების გამოყოფას. სადგურის მუშაკები უზრუნველყოფილი არ არიან საცხოვრებელი ბინებითაც. სადგურს მეტი დახმარება ესაჭიროება რაიონის ხელმძღვანელობისაგან. თვით პარტიის რაიკომის მდივანი მტს-ის დარგში ამბ. ნ. ბარბაქაძე რაიონის ცენტრში ცხოვრობს და ღრმად ვერ სწვდება კოლმეურნეობის საჭიროებებს, კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში აღმოფხვრილი არ არის გაუპირობნება და უპასუხისმგებლობა, მუშაობის კანცელარიული მეთოდი და სასხდომო ფუსფუსი.

პარტიის ბორჯომის რაკომმა მიმდინარე წელს ორჯერ განიხილა სგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხი, ხოლო დადგენილებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის ძალიან ცოტა რამ გაკეთა.

დრო, პარტიის ბორჯომის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა გაითვალისწინონ, რომ პარტია მოითხოვს კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის სერიოზულ გაუჯანსაღებას, რათა მიღწეულ იქნას უკლებლივ ყველა ჩამორჩენილი კოლმეურნეობის აყვანა მოწინავეთა დონემდე.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

ჭიათურელმა კოლმეურნეებმა გამოიწვიეს საჩხერლები

ჭიათურა. (ხაკ. კორ.). გაიმართა რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრება, რომელმაც მოისმინა პარტიის რაიკომის მდივნის ამხ. ვ. აბესაძის მოხსენება 1954 წელს უხვი მოსავლისათვის ბრძოლის შესახებ.

შეკრებაზე აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი თესვისათვის მზადებაში. სოფელ რგანის, სვერის, თვალუეთის, ვეზრულის, ბერეთისს კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი, არ მოუმზადებიათ კარტოფილისა და ბოსტნეულის თესლი. ბევრ კოლმეურნეობაში აგვიანებენ თესლის სრულ კონდიციამდე აყვანას, სასუქების მინდვრად გატანას.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს სოფელ მეჩხეთურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ბურჯანაძემ, მოწინავე ტრაქტორისტმა ო. კაპანაძემ, მეაბრეშუმე ბრიგადირმა თინა ხიხაძემ, მემინდვრეობის ბრიგადირებმა ვ. გოგოლაძემ, გ. წერეთელმა, ო. ცერცვაძემ და სხვებმა.

ჭიათურელმა კოლმეურნეებმა მიმდინარე წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს საჩხერის რაიონის კოლმეურნეები.

საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია გაემგზავრა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სხდომაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1954 წლის 23 მარტს ვენაში იხსნება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესია. სესიის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. საერთაშორისო მდგომარეობა და პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა შესრულება.

2. ბრძოლა პროფკავშირული უფლებების დაცვის ძირითადი .პრინციპების აღიარებისა და გამოყენებისათვის და მზადება 1954 წლის 1 მაისისათვის.

3. პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებათა (პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საწარმოო განყოფილებათა) საქმიანობა და ამოცანები.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის მოსკოვიდან ვენაში გაემგზავრა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ნ. მ. შვერნიკის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ლ. ნ. სოლოვიოვი და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი ვ. ი. ბერეზინი.

კაიროში სსრ კავშირის მისიისა და მოსკოვში ეგვიპტის რესპუბლიკის მისიის საელჩოებად გარდაქმნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ეგვიპტის რესპუბლიკის მთავრობამ ორივე ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარების მიზნით გადაწყვიტეს საელჩოებად გარდაქმნან სსრ კავშირის მისია კაიროში და ეგვიპტის რესპუბლიკის მისია მოსკოვში.

ნიდერლანდებში სსრ კავშირის ელჩის განცხადება

ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრისადმი

ჰააგა, 19 მარტი. (საკდესი). 18 მარტს სსრ კავშირის ელჩმა ნიდერლანდებში ს. პ. კირსანოვმა ინახულა ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნ ლუნსი და საბჭოთა მთავრობის დავალებით გაუკეთა მას შემდეგი განცხადება:

„უკანასკნელ დროს ჰოლანდიის პრესაში გამოქვეყნდა ნიდერლანდების სამხედრო და სამხედრო-საზღვაო მინისტრის ბ-ნ სტაფის განცხადებანი, რომელებიანაც გამომდინარეობს, რომ ნიდერლანდების მთავრობა დათანხმდა შეიქმნას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საავიაციო ბაზა და განლაგებულ იქნან ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები ნიდერლანდების ტერიტორიაზე.

საგანგებით ცხადდა, რომ მშვიდობიან დროს ნიდერლანდების ტერიტორიაზე ამერიკის შეიარაღებული ძალების განლაგებას საერთო არაფერი აქვს ნიდერლანდების თავდაცვის მიზნებთან, რადგან ცნობილია, რომ ნიდერლანდებს არავითარი თავდასხმა არ ემუქრება. ამჟამად, როცა ხორციელდება ლონისძიებანი საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის, მით უმეტეს არ შეიძლება გავამართლოთ ნიდერლანდების მთავრობის ასეთი მოქმედება.

საბჭოთა მთავრობას, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპის მშვიდობის განმტკიცებისა და კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის საქმეს, საჭიროდ მიაჩნია ნიდერლანდების მთავრობის ყურადღება მიაქციოს იმას, რომ უცხოეთის სახელმწიფოებისათვის სამხედრო ბაზების მიცემა და ნიდერლანდების ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარების განლაგება ხელს ვერ შეუწყობს საერთაშორისო ვითარებისა და ევროპის ქვეყნებს შორის ურთიერთობის „გაუმჯობესებას“.

ბ-ნი ლუნსმა თქვა, რომ ჰოლანდიის მთავრობა განიხილავს საბჭოთა მთავრობის განცხადებას და გასცემს პასუხს.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ბუდაპეშტი, 20 მარტი. (საკდესი). დღეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გაკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

უნგრეთის განთავისუფლების დროიდან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა უნგრეთის ხალხის დამოუკიდებლობის დაცვისა და მისი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის წარმატების ინტერესებისათვის თანმიმდევრულად უმკერდა მხარს ყოველ მისწრაფებას, მიმართულს საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისაკენ, მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისაკენ, ამიტომ იგი გულწრფელი სიხარულით მიესალმა საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ღონისძიებებს, რომელთა მიზანი იყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, საერთაშორისო სადავო საკითხების მოწესრიგება მოლაპარაკების გზით, და ყველაფერს აკეთებდა ამისათვის, რომ თავისი ძალღონის მიხედვით ხელი შეეწყო ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის გაფართოებისათვის.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ძლიერ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბერლინის თათბირს, რომელმაც ხელი შეუწყო მთელი რიგი საერთაშორისო საკითხების გარკვევას, შექმნა სადავო საერთაშორისო საკითხების მოლაპარაკების გზით მოწესრიგების შესაძლებლობა და გზა გაუხსნა ხუთი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თათბირს სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

მაგრამ ბერლინის თათბირის მსვლელობაში ნათელი გახდა ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და მასთან ერთად ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს უარი არ უთქვამთ თავიანთ იმ გეგმაზე, რომ შექმნან ევროპის ცალკეული სახელმწიფოების სამხედრო ბლოკი — ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება“, რომელშიც მთავარ როლს ისინი აკუთვნებენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებულ ძალებს. ეს პროექტი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია დასავლეთ გერმანიის შეიარაღება, მისი გამოყენება სამხედრო ბაზად და პლაცდარმად, აუცილებლად გამოიწვევს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას და მიზნად ისახავს, რომ გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიულმა ძალებმა კვლავ ხელმძღვანელი როლი მიიღონ ახალი აგრესიული ბლოკის განხორციელებაში, რომლებიც მიმართულია ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს, რომლებიც გაძლიერებულ ზეგავლენას იხდენენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე, რათა დააჩქარონ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ხელშეკრულების რატიფიკაცია, საქმით ისეთი პოზიცია უკავიათ, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ძირითად ინტერესებს.

მშვიდობისმოყვარე უნგრელი ხალხი, რომელიც ოთხი საუკუნის განმავლობაში უცხოელ მჩაგვრელთა ოკუპაციაში იყო, ხალხი რომელსაც გერმანიის იმპერიალიზმმა მთელი ერთი თაობის განმავლობაში ორჯერ დაატეხა თავს ომის საშინელებანი და ნგრევა, ევროპის სხვა ხალხებთან ერთად უარყოფს ამ გეგმებს, რომელთა მიზანია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, რადგან ორი მსოფლიო ომის გამოცდილების საფუძველზე მან კარგად იცის, რომ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება სერიოზული საფრთხეა უნგრელი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის მიღწევისათვის. გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება განუყოფელია ავსტრიის იძულებითი შეერთების გეგმისაგან, ახალი ანშლუსისაგან, რომლის განხორციელების შემთხვევაში, როგორც ეს კარგად იცის უნგრელმა ხალხმა საკუთარი გამოცდილებით, იქმნება უშუალო საფრთხე უნგრეთის დამოუკიდებლობისა და უშიშროებისათვის გერმანელი მილიტარისტი აგრესორების მხრივ.

„ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ პროექტი ნიშნავს ევროპის სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის დაპირისპირებას ევროპის სხვა ქვეყნებისათვის და ამით ამზადებს ახალი გამანადგურებელი ომის გაჩაღების საფრთხეს. მშვიდობის შენარჩუნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ევროპის ხალხთა გაერთიანება საშვიდობო მიზნების განხორციელების ინტერესებისათვის. ამიტომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ ევროპის ყველა ხალხი და მათ შორის უნგრელი ხალხიც სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული ევროპაში კოლექტიური უშიშროების ისეთი სისტემის შექმნით, რომელიც მოიცავს ევროპის ყველა ქვეყანას და რომელშიც არც ერთი სახელმწიფოს არა აქვს გაბატონებული მდგომარეობა. ევროპის კოლექტიური უშიშროების ასეთი სისტემის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ევროპის ქვეყნების მიერ სუვერენიტეტის კოლექტიური და ქმედითი უზრუნველყოფა და ამ სისტემის მონაწილე ქვეყნების დაცვა აგრესიის ყოველგვარი შესაძლებლობის წინააღმდეგ.

ბერლინის თათბირზე საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შეიტანა წინადადება დაიდოს სრულად ევროპის ხელშეკრულება კოლექტიური უშიშროების შესახებ. ამ ხელშეკრულების მიზანია ევროპის ხალხების მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა ევროპის ყველა სახელმწიფოს საერთო ღონისძიებებით, ხელის შეშლა ყოველგვარი აგრესიისათვის ევროპის ყოველი ქვეყნის წინააღმდეგ და ხელის შეწყობა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ბერლინის თათბირზე წარდგენილი საბჭოთა წინადადება ნამდვილად უზრუნველყოფს ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას და ხელს უწყობს იმას, რომ ევროპის სახელმწიფოებმა თანამშრომლობდნენ იმ ცდების თავიდან აცილების საქმეში, რომელთა მიზანია ევროპაში მშვიდობის დარღვევა, ხოლო მშვიდობის დარღვევის შემთხვევაში მიიღებდნენ საჭირო ღონისძიებებს აგრესორისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, რომლისთვისაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებმა, მიუხედავად საზავო ხელშეკრულების დებულებებისა, ჯერაც არ უზრუნველყვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში მონაწილეობისა და იქ თავისი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა, სურს იყოს იმ ღონისძიებათა აქტიური მონაწილე, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა, და ამიტომ უერთდება საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომელიც შეტანილ იქნა ბერლინის თათბირზე, რომ დაიდოს კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულება, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას აქტიური მონაწილეობა მიეღო, ევროპის ყველა — დიდ და პატარა — სახელმწიფოსთან ერთად თანასწორუფლებიანი მხარის სახით, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებით გაჩაღებაში. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის წინადადება ქმნის იმის რეალურ გარანტიას, რომ არ მოხდება გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება და ახალი აგრესიის ყოველგვარი სხვა ცდა დასავლეთ ევროპაში, რაც ემთხვევა უნგრელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ეს წინადადება მთლიანად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებს, ევროპის ხალხთა გულწრფელ სურვილს და მათ შორის აგრეთვე უნგრელი ხალხის გულწრფელ სურვილსა და მისწრაფებებს, რომლებიც მიმართულია მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისაკენ, ამიტომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მტკიცედ სჯერა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადების ბაზაზე შესაძლებელია ევროპის ყველა ქვეყნის ჩაბმა კოლექტიური უშიშროების სისტემაში.

რაღგან სრულიად ევროპის ხელშეკრულების დადება კოლექტიური უშიშროების შესახებ მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას, მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის უაღრესად მნიშვნელოვანი წინაპირობის შექმნას, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ მას სურს მონაწილეობა მიიღოს კოლექტიური უშიშროების სრულიად ევროპის ხელშეკრულებაში და მზად არის ევროპის სხვა სახელმწიფოებთან ერთად გადადგას ნაბი

ჩინეთში წყალში ჩაუშვეს პირველი ჩინური გემი

შანხაი, 21 მარტი. (საკდესი). გუშინ ძონანის ვერფების გემთმშენებლებმა წყალში ჩაუშვეს 900 ტონა წყალწყვის სამგზავრო გემი „მინკუნი“. იგი ივლის იანძის წყალმარჩხ ნაწილში შანხაისა და ჩუნცინის შორის. წინათ ამ გზის ნახევარს მგზავრები გადაიდგნენ წყალში ღრმად მჯდომი გემებით, შემდეგ გადასხდებოდნენ სხვა გემებში, რომლებითაც მოგზაურობდნენ ჩუნცინამდე. ახალი გემი კონსტრუქციის თავისებურების მეოხებით მთელ გზას გადის შანხაიდან ჩუნცინამდე.

ეს პირველი დიდი გემია, რომელიც აშენდა ჩინეთის განთავისუფლების შემდეგ, პირველი გემია ჩინეთის ისტორიაში, რომელიც შექმნეს ჩინელმა ინჟინრებმა, ჩინელმა მუშებმა ჩინური მასალებით.

ინგლისის გაზეთი საბჭოთა ქაშირთან ვაჭრობის შესახებ

ლონდონი, 21 მარტი. (საკდესი). გაზეთ „რეინოლდს ნიუსის“ სპარლამენტო კორესპონდენტი წერს: „არის იმის საფრთხე, რომ უახლოეს წელიწადში სერიოზული უმუშევრობა წარმოიშობა ინგლისის მანქანათმშენებელ და გემთმშენებელ მრეწველობაში, თუ არ გაუქმდა საბჭოთა კავშირში ექსპორტის შეზღუდვა“.

აღნიშნავს ია, რომ პარლამენტის წევრმა კონსერვატორებმა წინადადება შეიტანეს ამის გამო ინგლისის მთავრობაში და რომ „მათ მხარს დაუჭერენ ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები თემთა პალატაში, როცა 22 მარტს კამათი გაიმართება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის საკითხზე“, კორესპონდენტი აცხადებს: „მოსაქმეებმა, რომლებიც ამას წინათ გაეშგზავრნენ მოსკოვს და მიიღეს დაკვეთები, გაიფრთხილეს პარლამენტის წევრები, რომ შეუძლებელია დაშვებულ იქნას, რომ ინგლისის ფირმებმა, რომლებიც მალე სრულიად უდაკვეთოდ დარჩებიან, ვერ შეძლონ მიიღონ და შეასრულონ ეს კონტრაქტები. მათი სიტყვით ვაჭრობის სამინისტრომ აცნობა მათ, რომ დაკვეთების ნახევარი მაინც ხვდება „სტრატეგიული საქონლის“ აკრძალული ექსპორტის კატეგორიაში. თუ დასავლეთმა ძალაში დატოვა ახლანდელი სასტიკი აკრძალვა, ჩვენ სამუდამოდ დაკარგავთ ბაზარს. ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ეს მოხდეს, რამდენადაც გერმანია და იაპონია გამოგვდევნიან სხვა ბაზრებიდან“.

უნგრეთ-ნორვეგიის სავაჭრო შეთანხმება

ოსლო, 21 მარტი. (საკდესი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს ოფიციალური ცნობა, რომ 18 მარტს ოსლოში ხელი მოაწერეს ოქმს უნგრეთსა და ნორვეგიას შორის 1954-1955 წლებში საქონელგაცვლის შესახებ. საქონელგაცვლის ღირებულება გამოიხატება დაახლოებით 20 მილიონი კრონით. ცნობაში აღნიშნულია, რომ ნორვეგია უნგრეთში შეიტანს გაყინული თევზის ფილეს, თევზის ფქვილს და თევზის სხვა პროდუქტებს, ქიმიკატებს, ცელულოზას, მერქნის მასას, საგაზეთო ქაღალდს, შტაპელის ბოკოს, მოუქნელ ტყავებს, ბეწვეულს, ფეროშენადნობებსა და სხვა საქონელს. უნგრეთი ნორვეგიას მიაწვდის მოტოციკლებს, ტყავის ნაწარმს, შაქარს, ბეწვეულს, ბუმბულსა და სხვა საქონელს.

არგენტინაში დაიწყო საბჭოთა კინოფილმების კვირეული

ბუენოს-აირესი, 20 მარტი. (საკდესი). 18 მარტს ბუენოს-აირესის უდიდეს კინოთეატრ „ოპერაში“ კინოფილმ „სადკოს“ დემონსტრაციით დაიწყო საბჭოთა კინოფილმების კვირეული.

კვირეულის გახსნისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე საბჭოთა ხელოვნების მუშაკთა დელეგაციის მეთაური პ. ზამინი მიესალმა არგენტინის ხელოვნების მოღვაწეებსა და მაყურებლებს.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე კინოფილმ „სადკოში“ მთავარი როლის შემსრულებელმა მსახიობმა ს. სტოლიაროვმა, რომელსაც საზოგადოება გულთბილად შეხვდა. კინოფილმ „სადკოს“ გასინჯვას დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი არგენტინაში გ. ფ. რეზანოვი, ხელისუფალთა წარმომადგენლები, არგენტინის ხელოვნების მოღვაწეები, დიპლომატიური კორპუსის წევრები და ორი ათასზე მეტი მაყურებელი.

კინოფილმ „სადკოს“ დიდი წარმატება ჰქონდა და მაყურებელთა მაღალი შეფასება მიიღო.

საბჭოთა კინოფილმების კვირეულის დროს, „სადკოს“ გარდა, უჩვენებენ კინოფილმებს „ადმირალი უშაკოვი“, „ტარას შევჩენკო“, „ხელოვნების ოსტატთა კონცერტი“, „ჩუკი და გეკი“, „კომპოზიტორი გლინკა“ და „ვასილ ბორტნიკოვის დაბრუნება“.

არგენტინის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა კინოფილმებისადმი. კვირეულის დაწყებამდე ექვსი დღით ადრე საბჭოთა კინოსურათების გასინჯვის ყველა ბილეთი გაყიდული იყო.

მომავალი საერთაშორისო კინოფესტივალი ურუგვაიში

მონტევიდეო, 21 მარტი. (საკდესი). 1954 წლის მაისში მონტევიდეოში გაიმართება დოკუმენტალური, მეცნიერულ-პოპულარული და მულტიპლიკაციური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი.

ფესტივალს აწყობს ურუგვაის რადიომაუწყებლობის სახელმწიფო სამსახური. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ინდოეთი, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, შვეიცა, იაპონია, ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნები. სულ მონაწილეობას მიიღებს 22 ქვეყანა.

ფესტივალზე უჩვენებენ აგრეთვე ისეთ საბჭოთა ფილმებს, როგორიც არის „ამბავი კასპიის მენავთობეებისა“, „მამაცთა ასპარეზი“, „მშობლიური ქვეყნის სიმღერები“, „წითელი ყვავილი“ და სხვ.

ფესტივალის გახსნა განზრახულია 2 მაისს.

იაპონიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის განცხადება

პეკინი, 21 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

ტოკიოდან მიღებული ცნობით, იაპონიის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც იმედს გამოთქვამს, რომ ჟენევის მომავალ თათბირი მშვიდობას მოუტანს აზიას.

კორეისა და ინდოჩინეთის საკითხთა მოწესრიგება, ნათქვამია განცხადებაში, არსებითად საჭიროა მშვიდობის დასამყარებლად აზიასა და დანარჩენ მსოფლიოში. ამ საკითხთა მოწესრიგების დროს მიღებულ უნდა იქნას ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. ეს იმას ნიშნავს, რომ კორეელმა ხალხმა და ინდოჩინეთის ხალხებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ თავიანთი საქმეები.

აზიასა და მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შესანელებლად, აცხადებს იაპონიის მშვიდობის დაცვის კომიტეტი, საჭიროა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ თავისი კანონიერი ადგილი დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

დასასრულ იაპონიის მშვიდობის დაცვის კომიტეტის განცხადებაში ნათქვამია: „იაპონელ ხალხს არა სურს, რომ მისი ქვეყანა შეუერთდეს რომელიმე სამხედრო კავშირს, რომელიც მიმართულია რომელიმე ერის წინააღმდეგ, და ამიტომ იგი მოითხოვს ლიკვიდირებულ იქნას ამერიკა-იაპონიის „შეთანხმება ურთიერთდაცვის უზრუნველყოფაში დახმარების შესახებ“. იაპონიამ დაკარგა სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის თავისუფლება, მისი მრეწველობის მშვიდობიანი დარგები იკვეცება, და იგი აზიის სამხედრო არსენალად იქცევა. იაპონელ ხალხს ეს არა სურს. მას სურს ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირთან და ჩინეთთან და განავითაროს მათთან ვაჭრობა“.

დაიხურა ინდონეზიის კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობა

ჯაკარტა, 21 მარტი. (საკდესი). დღეს ჯაკარტაში დაიხურა ინდონეზიის კომპარტიის მეხუთე ყრილობა. ყრილობამ ჩაიარა მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირის ბაზაზე ეროვნული ფრონტის განმტკიცების ნიშნით, ინდონეზიის სრული დამოუკიდებლობისათვის, ნამდვილი დემოკრატიისა და ხალხთა შორის მშვიდობისათვის ბრძოლის ნიშნით. ყრილობამ განსაზღვრა პარტიის ამოცანები კოლონიური რეჟიმის ნაშთების, სიღატაკის და უცხოეთის კაპიტალის ბატონობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

ფართო დისკუსიის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ათვის, სუმატრის, ბორნეოს, ცელებესისა და სხვა კუნძულების ბევრი რაიონის წარმომადგენლებმა, ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი წესდება და ახალი პროგრამა. ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი 13 კაცისა და ცენტრალური კომიტეტის წევრობის სამი კანდიდატისაგან. შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო 5 კაცის შემადგენლობით: აიდიტი, ლუმანი, ნიოტო, სუდისმანი და საკირმანი. ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად კვლავ არჩეულ იქნა აიდიტი, გენერალური მდივნის მოადგილედ — ლუმანი და ნიოტო.

კომპარტიის მეხუთე ყრილობის მუშაობის დამთავრების გამო დღეს ჯაკარტაში მრავალთასიანი მიტინგი გაიმართა.

მდგომარეობა სუეცის არხის ზონაში

კაირო, 20 მარტი. (საკდესი). პრესა იუწყება, რომ მდგომარეობა სუეცის არხის ზონაში სულ უფრო დაძაბული ხდება. გუშინ მოხდა ახალი სერიოზული ინციდენტები. ინგლისის სარდლობის შტაბის კომუნიკეში ნათქვამია, რომ გუშინ დილით დაბა ბალაში ეგვიპტელების ჯგუფმა სროლა აუტეხა ორ ინგლისელ ოფიცერს. ერთი მათგანი მოკლულია, მეორე მძიმედ დაიჭრა.

იმავე დღეს, როგორც ინგლისის სარდლობის შტაბი ადასტურებს, ეგვიპტელებმა სროლა აუტეხეს ინგლისის ორ სამხედრო ავტომანქანას. ახლო აღმოსავლეთში ინგლისის სამხედეთო ძალების მთავარსარდლის რეზიდენციის შენობის ახლოს ქალაქ სუეცში ხელის გრანატი ესროლეს ინგლისის სამხედრო ავტობუსს.

როგორც გაზეთი „აჰბარ ელ-იაუმი“ იუწყება, ისმაილიაში ეგვიპტელები, რომლებიც აღაშფოთა ინგლისის ჯარების თვითნებობამ, თავს დაესხნენ ინგლისელი ჯარისკაცების ჯგუფს და მოკლეს ოთხი მათგანი. ინციდენტის ადგილას გამოიძახეს ინგლისელი ჯარები, რომლებიც, როგორც გაზეთი იუწყება, გარს შემოერტყნენ ქალაქ ფაიდსა და დასახლებულ პუნქტ ფანარას.

როგორც გაზეთ „ალ გუმხურიას“ კორესპონდენტი პორტ-საიდიდან იუწყება, ინგლისელი ჯარისკაცები ჯავშნოსანი მანქანებით თავს დაესხნენ ეგვიპტის პოლიციის პოსტს დასახლებულ პუნქტ რაიახში.

ინგლისელები, წერს კორესპონდენტი, გზებზე აწესებენ ახალ საკონტროლო პოსტებს და ჩხრეკენ ავტომანქანებს და ფეხით მიმავალთ. გრძელდება ეგვიპტელთა ბინების ჩხრეკა. კორესპონდენტი ავრეთვე იუწყება, რომ ინგლისელი ჯარისკაცები თავს ესხმიან ეგვიპტელებს სახლებში და აპატიმრებენ მათ.

19 მარტს საღამოს ინგლისის ელჩი კაიროში სტევენსონი მიიღო ეგვიპტის პრეზიდენტმა გენერალმა ნაგიბმა. საუბრის შემდეგ ნაგიბმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ მან სტევენსონთან ერთად განიხილა სუეცის არხის ზონის მდგომარეობის საკითხი.

საომარი მოქმედება გომინდანელთა განდეგილების წინააღმდეგ ბირმაში

ლონდონი, 21 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი რანგუნიდან იუწყება, ბირმის მთავრობის ჯარებმა, რომლებიც მოქმედებენ ბირმის ტერიტორიაზე მყოფი გომინდანელთა ბანდების წინააღმდეგ, გუშინ დაიკავეს გომინდანელთა ჯარების მთავარი შტაბ-ბინა ბირმაში — მონგ-სატი.

ეს რაიონი, რომელიც მდებარეობს ბირმის აღმოსავლეთ ნაწილში ტაილანდის საზღვრის ახლოს, გადაქცეული იყო გომინდანელთა ბანდეების საომარი ოპერაციების ცენტრად ბირმის ტერიტორიაზე. მონგ-სატის დაკავება სერიოზული ლახვარია გომინდანელთა ბანდებისათვის.

როგორც რეიტერის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, უკანასკნელ დრომდე მონგსატში იყო გომინდანელთა ჯარების დიდი დაჯგუფება. გომინდანელებმა მონგსატში აუშენეს აეროდრომი, რომელზეც ეშვებოდნენ იარაღითა და საომარი მასალებით დატვირთული თვითმფრინავები, აგრეთვე ააშენეს რადიოსადგური ტაილანთან კავშირისათვის. მონგ-სატი იყო აგრეთვე კადრების მომზადების ცენტრი ბირმის ტერიტორიაზე ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გომინდანელთა ჯარების ნაწილმა მონგ-სატიდან დაიხია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ტაილანდის საზღვრის მიმართულებით. მეორე ნაწილი უკან იხევს ჩრდილოეთისაკენ, რათა შეუერთდეს გომინდანელთა ბანდებს, რომლებიც მონგ-იანგის რაიონში მოქმედებენ.

„ევროპის არმიის“ მოწინააღმდეგეთა საერთაშორისო თათბირი

პარიზი, 20 მარტი. (საკდესი). „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ მოწინააღმდეგეთა საერთაშორისო თათბირზე, რომელიც დღეს გაიხსნა, დაიწყო დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვა — „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის შესახებ ხელშეკრულების შესწავლა. თათბირი მიმდინარეობს ედუარდ ერიოს სახატიო თავმჯდომარეობით, რომელიც ვერ ჩამოვიდა თათბირზე. თათბირის მონაწილეებისათვის გაგზავნილ წერილში ერიო სრულ წარმატებას უსურვებს მათ. „მე მხურვალედ მსურს, — წერს ერიო, — ყველა ფრანგის გაერთიანება ამ ფორმულის საფუძველზე, რომელიც იცავს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს და თავიდან აცილებს მას ახალი და საშინელი კატასტროფის საფრთხეს, რის მიღწევაც შეუძლებელი იქნებოდა ილუზორიული გარანტიების საშუალებით, რასაც შეიცავს ახლანდელი ხელშეკრულება ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ“.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა პროფესორმა ბერნარ ლავერნმა. თათბირის დელეგატებმა დღეს უდიდესი აღფოთებით გაიგეს, რომ საფრანგეთიდან გაძევეს იტალიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი პიეტრო ნენი, რომელიც ჩამოვიდა პარიზს იტალიის დელეგაციასთან ერთად თათბირის მუშაობაში მონაწილეობისათვის.

პარლამენტის მოღვაწეთა დელეგაციამ პროტესტი განაცხადა ნენის გაძევების წინააღმდეგ. ეროვნული კრების სოციალისტური ჯგუფის თავმჯდომარემ შარლ ლიუსიმ, გამოთქვა რა პროტესტი საფრანგეთის პოლიციის ამ თვითნებური იქტის წინააღმდეგ, განაცხადა: „ნენის არ ჩაუდენია არავითარი მტრული მოქმედება საფრანგეთის წინააღმდეგ. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ მისი გაძევების წინააღმდეგ“.

საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა სამხედრო ბიუჯეტი

პარიზი, 20 მარტი. (საკდესი). დილამდე გაჭიანურებულ ღამის სხდომაზე ეროვნულმა კრებამ დღეს დაამტკიცა ეროვნული თავდაცვის 1954 წლის ბიუჯეტი 1.110,5 მილიარდი ფრანკის რაოდენობით. დამტკიცებას ხმა მისცა 403 დეპუტატმა; წინააღმდეგ — 203 დეპუტატმა (კომუნისტები, პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის წევრები და სოციალისტები).

სამხედრო ბიუჯეტი ეროვნულ კრებაში დამტკიცების შემდეგ რესპუბლიკის საბჭოში უნდა განიხილონ და, მასში შესწორებათა და ცვლილებათა შეტანის შემთხვევაში, მეორედ უნდა განიხილონ პირველ პალატაში.

კამათში გამოსულმა კომუნისტმა დეპუტატმა ვეილონმა გააკრიტიკა 1954 წლის სამხედრო ხარჯების ბიუჯეტი და აღნიშნა, რომ იგი „მარადიულს ხდის ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლს საფრანგეთის შეიარაღებული ძალებისადმი“. მეორე კომუნისტმა დეპუტატმა ჟიოვონინმ თქვა, რომ, განაგრძობს რა დაუსრულებელ კოლონიურ ომს ინდოჩინეთში, მთავრობა ემორჩილება ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მოთხოვნებს.

ბიუჯეტი გააკრიტიკეს აგრეთვე სოციალისტმა დეპუტატებმა. სოციალისტური ჯგუფის წარმომადგენელმა კაპდევილმა განაცხადა, რომ ბიუჯეტი შედგენილია „მოძველებულია, არაქმედითი და საშიში გეზის“ საფუძველზე.

ჰ ა დ რ ა კ ი

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

მესამე პარტია

20 მარტს პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ჰადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩის მესამე პარტია. თეთრებით თამაშობდა სმისლოვი.

პარტია დუმთავრებელი დარჩა. სმისლოვმა ჩაიწერა თავისი 41 სვლა.

* * *

21 მარტს, დღისით გროსმაისტერმა სმისლოვმა მოწინააღმდეგეს შესთავაზა ყაიმი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონმა მიიღო.

ამრიგად, მატჩის მესამე პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა $2\frac{1}{2}:\frac{1}{2}$ ბოტვინიკის სასარგებლოდ.

საერთაშორისო ტურნირი ბუქარესტში

ბუქარესტი, 20 მარტი. (საკდესი). გუშინ საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირზე ბუქარესტში გაიმართა გადადებული პარტიების გათამაშება. ტროიანესკუ თამაშის განუახლებლად დანებდა ნეიმეტდინოვს და ყაიმზე შეთანხმდა საბოსთან. ფილიპმა 66-ე სვლაზე მოუგო ვეიდს.

სლივა-ო'კელის პარტიაში შეიქმნა იშვიათი დაბოლოვება ოთხი ლაზიერით. ლაზიერებთ შეუტია რა მოწინააღმდეგის მეფეს, სლივამ გაიმარჯვა 61-ე სვლაზე.

საბჭოთა ოსტატმა ხოლმოვმა თავისი მატერიალური უპირატესობა კარგად გამოიყენა და მოუგო უნგრეთის ჩემპიონ ანდოროს. კლიუგერ-საბოს პარტია 63-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

საბჭოთა ოსტატმა ფურმანმა განსაკუთრებით ზუსტად ითამაშა პარტიის ბოლო პახმნთან. მიუხედავად იმისა, რომ პახმანი მარჯვედ და მტკიცედ იცავდა თავს, 71-ე სვლაზე, აუცილებელი შამათის გამო მან თავი დამარცხებულად ცნო. ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონმა ამ ტურნირში პირველად განიცადა დამარცხება.

საბჭოთა ოსტატმა ნეიმეტდინოვმა გამარჯვების დიდი ნებისყოფა გამოიჩინა პარტიაში სლიგასთან. სლივა თამაშობდა იმ ვარაუდით, რომ მოეგო, მაგრამ საბჭოთა ოსტატმა კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგის შეცდომები და გაიმარჯვა. ჩოკოლტიამ მოუგო კლუგერს.

პაოლი-კორჩნოის პარტია კვლავ გადაიდო 90-ე სვლაზე. შავებს ჰყავთ ეტლი, რკუ და ცხენი ლაზიერის მაგიერ.

ამრიგად, 14 ტურის შემდეგ ნეიმეტდინოვმა (სსრ კავშირი) მოაგროვა 11 ქულა. კორჩნოის (სსრ კავშირი) აქვს 10 ქულა და ერთი გადადებული პარტია. პახმანს (ჩეხოსლოვაკია) — 9,5 ქულა.

სსრ კავშირ-არგენტინის მატჩი

ბუენოს-აირესი, 21 მარტი. (საკდესი). 20 მარტს გათამაშდა სსრ კავშირისა და არგენტინის გუნდებს შორის საჰადრაკო მატჩის მეორე ტურის დაუმთავრებელი პარტიები. ბრონშტეინ-ნაიდორფის პარტია კვლავ გადაიდო საბჭოთა გროსმაისტერის უპირატესობით. ბრონშტეინს აქვს ეტლი და პაიკი ნაიდორფის მხედრისა და პაიკის წინააღმდეგ.

ტიმანცევმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გატეხა ელისკაზესის მეფდარი წინააღმდეგობა, მოიგო მხედარი და გაიმარჯვა. კერეს-ხოლმანი, როსეტო-კოტოვისა და პანოვ-ავერბახის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ძ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. დანიელ სიმონის-ძე სოლოდი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ეგვიპტის რესპუბლიკაში.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ვ. ა. ლოლაძე საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრის მოადგილედ, გაათავისუფლა რა იგი საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

ამხ. ა. ლ. ჩხეტიანი — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ.

გაიხსნა თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის ნაგებობა

20 მარტს რეკონსტრუქციის, კაპიტალური რემონტისა და ხელახლა მოწყობის შემდეგ მუშაობა განაახლა თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრმა.

შენობის ვესტიბიულებმა, ფოიემ, დამხმარე ოთახებმა და მაყურებელთა დარბაზმა არქიტექტურულ-სამშენებლო სამუშაოთა შესრულების შემდეგ სრულიად ახალი მხატვრული სახე მიიღეს. მთლიანად რეკონსტრურებულია მაყურებელთა დარბაზის ინტერიერი. იქ დიდი მოცულობით არის შესრულებული არქიტექტურულ-მხატვრული, ძერწვის, საალფრეინო და მოფარდაგების სამუშაოები, მთლიანად გადაკეთებულია ჰერი, ელექტროგაშუქება.

ახლებურად გადაწყვეტილია ვესტიბიულების, ფოიეებისა და მაყურებელთა დარბაზის ელექტროგაფორმება. დარბაზში დაკიდებულია სპეციალურად დამზადებული, მდიდრულად ორნამენტირებული ბრინჯაოს დიდი ჭაღი.

მაყურებელთა მთელი დარბაზის ინტერიერის გადაწყვეტისას ფართოდ გამოყენებულია სომხური ხუროთმოძღვრების პლასტიკური და ორნამენტური ფორმები ახალი შემოქმედებითი გადამუშავებით.

თეატრის მსახიობთა კოლექტივისათვის შექმნილია ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის საუცხოო პირობები, გადაკეთებულია სცენა და სცენის მოედნის ელექტროგაშუქება, გადაკეთებული და კაპიტალურად შეკეთებულია მსახიობებისა და ორკესტრის სათავსოები.

თბილისის სომხური დრამის თეატრის რეკონსტრუქციისა და ხელახლა მოწყობის არქიტექტურულ-მხატვრული სამუშაოები შესრულებულია არქიტექტორის დოქტორის, პროფესორ რ. ადამბაბიანისა და თეატრის მთავარი მხატვრის რ. ნალბანდიანის ხელმძღვანელობითა და ესკიზებით.

თეატრის რეკონსტრუქციისა და გაფორმების სამუშაოები მაღალხარისხოვნად შეასრულა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურმა ბაზამ (კანტორის უფროსი ამხ. დოლიძე). თვითეულ დეტალს ეტყობა საქმისადმი სათუთი დამოკიდებულება.

პარტიისა და მთავრობის დიდი მზრუნველობა სომხური დრამის თეატრალურ კოლექტივს ავალებს მკვეთრად გააუმჯობესოს თავისი მუშაობა, უჩვენოს საბჭოთა მაყურებელს ახალი, იდეურად გამართული, მაღალმხატვრული სპექტაკლები.

მომზადებულია ახალი დადგმები. თეატრმა მუშაობა განაახლა ნაირი ზარიანის პიესით „საცდელი მინდორი“, რომელიც მიძღვნილია საკოლმეურნეო მინდვრების გმირებისადმი. პიესა დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ფ. ბეიკიანმა.

ამის შემდეგ თეატრი უჩვენებს დ. დემირჭიანის პიესას „მშობლიური ქვეყანა“, რომელსაც დგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი ა. აბარიანი.

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით თეატრი მაყურებელს უჩვენებს უკრაინელი მწერლის ი. გალანის პიესას „ხიყვარული გარიყარაუზე“, რომელსაც დგამს რეჟისორი ფ. ბეიკიანი.

სამივე სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის თეატრის მთავარ მხატვარს რ. ნალბანდიანს.

გარდა ამისა, სეზონის ბოლომდე თეატრი დადგამს შემდეგ პიესებს: ა. ბარსეღიანისა და გ. ჯანიბეკიანის „ტარატ ამაზასპის-ძე ჯავრობს“, ა. სარქისიანის „ბრძოლის გზაზე“, მ. ბარათაშვილის „მარინეს“ (თარგმანი ა. დავითიანისა) და ა. შ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით თეატრი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო რაიონების კულტურული მომსახურების დარგში. თეატრი საგასტროლოდ გაემგზავრება ახალციხეში, ახალქალაქში, ბოგდანოვკასა და აფაზეთის რაიონებში, მოემსახურება მარნეულის, თეორი წყაროს და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობებს, იქ გამართავს სპექტაკლებსა და კონცერტებს და მოაწყობს დრამატული წრეების ხელმძღვანელთა მოკლევადიან სემინარებს.

პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის პასუხად თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი კისრულობს კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღოს შემოქმედებითი მუშაობა და უკეთ დაკმაყოფილოს საბჭოთა მაყურებლის მზარდი კულტურული მოთხოვნილებანი.

ვ. ელიბეკიანი,
თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის დირექტორი.

სურათზე: თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მაყურებელთა დარბაზის საერთო ხედი. ფოტო ვ. გინზბურგისა.

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგები

რესპუბლიკის სკოლებში დაიწყო მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგები. სკოლებში, კლუბებში, კულტურის სახლებში მოეწყობა კონცერტები, მხატვრული თვითმოქმედების საღამოები, დილები, თეატრებსა და კინოებში გაიმართება დილის სპექტაკლები და კინოსეანსები. არდადეგების დღეებში ეწყობა „საბავშვო წიგნის კვირეული“. 23 მარტს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში იხსნება ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება.

რედაქტორის მოადგილე,
რ. ქურციკიძე.

ექსტერნატის წესით სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდები დაიწყება ა. წ. 20 მაისიდან. გამოცდებზე დაშვების საკითხს წყვეტს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. გამოცდებზე დაიშვებიან 18 წელზე მეტი ასაკის პირნი, რომლებიც არ სწავლობენ საშუალო სკოლებში (ტექნიკუმში) ან არ დაუმთავრებიათ და საპატიო მიზეზით სკოლიდან გასული არიან ერთი და მეტი წლის წინათ. ექსტერნები სიმწიფის ატესტატზე გამოცდებს აბარებენ მხოლოდ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და ტალინიერში იმ საშუალო სკოლებში, რომლებსაც მიუთითებს მათ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში არაუგვიანეს 15 აპრილისა. განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს: ავტობიოგრაფია, დაბადების მოწმობა, მოწმობა ან ცნობა განათლების შესახებ, ცნობა განათლების განყოფილებიდან ან სამსახურის ადგილიდან იმის შესახებ, რომ გამცხადებელი ერთ წელზე მეტია, რაც საპატიო მიზეზის გამო გასულია სკოლიდან, და ორი ფოტოსურათი.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — ჰაიტი (დილას), დონ სეზარ დე ბაზანი (საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — უფსკრულთან (12 ს. და 7 ს. 30 წ.), გრიბოედოვის სახელობის — გვარის დაუსახელებლად (დილას), ვაი ჭკუისაგან (საღამოს), მუსიკალური კომედიის — სასიძოები (დილას და საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები (აბონემენტი № 19, 11 ს.), მისი ამხანაგები (აბონემენტი № 1, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — საგანგებო დავალება (10 ს. 2 ს.), ცხოვრების ფურცელი (7 ს.), სანიტარული კულტურის — შვილი.

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვის სახელობის და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — მარინეს ბედი, კომკავშირელი, დიდუბე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ბატონი ტაქსი, კოლხიდა — მოსაგვარებელი საქმე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

23 მარტს	ხ. ფალიაშვილი — **აბესალომ და ეთერი** (დასაწყისი საღამოს 7 ს.)
24 მარტს	პ. ჩაიკოვსკი — **ევგენი ონეგინი** (დასაწყისი საღამოს 7 ს.)

მოსწავლეებისათვის სპექტაკლის დასაწყისი საღამოს 7 ს. ბილეთები იყიდება დილის სპექტაკლების ფასებით 4 მანეთიდან 12 მანეთამდე.

მოქალაქე სოფიო არტემის ასულმა ასატუროვამ, მცხოვრებმა კიბალჩიჩის ქ. № 13, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ გურგენ ჯალალიან-ძე ასატუროვთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგია.

მშობლები სანდრო, ანა, მეუღლე პეტრე, დები ვიოლეტა, მარიკა, ირა, ბიძა ნიკოლოზ ბადალოვი, მამიდა ვარა მერაბიშვილი იუწყებიან **თამარ ალექსანდრეს ასულ ბადალოვა-მაკიევას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-III, 8 ს. გამოსვენება 25-III, 6 ს. კალინინის ქ. № 69.

მეუღლე პელაგია, შვილები ლონგინოზ, ნადია, შალვა, რძლები ფაცია, შუშანა, სიძე ა. ონიკაშვილი, შვილიშვილები ლილი, ინესა, ალექსანდრე, ნორა იუწყებიან **ხარიტონ ერმილეს-ძე ლომთათიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-III, 7 ს. გამოსვენება 25-III, 5 ს. ალიხანიანის ქ. № 7.

მეუღლე ნატო, შვილები ეთერ, ნათელა, მარიან, სიძე იბო სარჯველაძე, შვილიშვილი მზია იუწყებიან **იასონ სიმონის-ძე გოძიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-III, 8 ს. გამოსვენება 25-III, 5 ს. საბჭოს ქ. № 20.

მეუღლე ქონა, შვილი